

ვაკი 20 ქ.


წელი 1915 პირველი.

სამეცნიერო
—
—

— მ ა მ ხ ე თ ი —

მუსიკი

კუნთიდები



ორგებორული
სამეცნიერო, სალიტერატუ-
რო და საპოლიტიკო ჟურ-
ნალი.

ჭ ი ნ ა მ ა რ ს ი.

1. ნეკროლოგი—ხომლელისა.
2. აკაკის გარდაცვალების გამო—
3. აკაკის ცხედართან —ვერმიტან-
შეილისა. (ნოტა)
4. საუბარი—ივანე ელიაშვილისა.
5. ვაგნერი—გ. ტაბიძესი.
6. „ვი დედა!“ —თეოფანე ხუსკი-
ვაძესი.
7. ზამბაზ ზეკაცაძე—ივ. იანის.
8. ცხოვრება და მეცნიერება—იაკ.
ფანტზევასი.
9. მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში—
ამბერისა.
10. კრიტიკა—ხომლელისა.
11. აზლო აღმოსავლეთი—გულე-
თილისა.
12. მწიგნობრობის თანამგზავრი—
ისო-სი.
13. შენიშვნა—ლ. ბაქრაძესი.
14. წერილი სამეცნიეროდან— ქ.

1 თებერვალი 1915

რთვ 3.

ქ უ თ ა ი ს ი

სტამბა „მმობა“ ქარვასლის ქუჩა, სახლი ჩარექოვისა.
1915

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან სელის მოწერა სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო ქურნალ

"გ ა ნ თ ი ა დ"-ზე,

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანე-
ლობით.

წლიურათ უურნალი ელიტება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ.,
სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თიოთ ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხე-
ლის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ პრილს—1 მან. და პირველ ივ-
ნისს—1 მან.

ქუთასში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილ-
თან და მ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. ქ. გ. საზოგ. მდივანთან,
ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოშია გამყრფ
ლიძესთან, ბათოში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯულელთან და კავ-
კავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: გორ. ქუთაის. რომანუ სპირიდო
ნივიჩუ პანცხავა.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ თ ე მ ა “-ზე

გამოდის ორ ჟაბათობით

წელიწადი მესუთე.

გაზეთის ფასი: წლიურათ 2 გ. 50 კ. ნახევარი წლით 1 გ. 25 კ.

საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

მისამართი. ოლგას ქ., სახლი დიასამიძის, № 4.



აკაკი გარდაიცვალა... და ჩვენც
ერთი უმთავრესი ძარღვი არსებობისა
ჩაგვწყდა.

დღეს სწორეთ, როცა გაშლილი მდი-
დარი მიღლორ-ველი უძველესი, კლასიკუ-
რი ივერიისა და კოლხიდისა აყვავილებას
იწყებს. ხეხილნი საამურათ იფურჩქნები-
ან და დიდათ სურნელოვანი ია და ვარდი
აკოკრდენ კიდეც, და ამ დროს, როცა
სამშობლო ქვეყნის არქ-მარტინ სიცოცა-
ლეიწყებს ძლიერათ განახლებას, მკედრე-
თით აღდგენას, გამხიარულებულ ცხო-
ვრებას, ჩვენ უბედურნი, მწარეთ გულ
მოკლულნი, უნდა საუკუნოთ გამოვეთ
ხოვოთ ამ ჩვენი უშვენიერესი ქვეყნის
ერთს უდიადეს ტურთა მომლერალთაგანს
და ჭირისუფალს.

აკაკი გადადგა ამ წუთისოფ-
ლის ასპარეზიდან, გასწუდა იმისი
უტურფესი, უნაზესი და უძვირფასესი
ჩონგურას სიმნი. მარა ის იდეები და
იდეალები, რომლებითაც გამსჭვალულ
იყო ეს სიმნი, არ მოკვდებიან არას
დროს... ვიდრე ერთი ქართველი კიდევ
იბოგინებს დედა-მიწაზე.

აკაკი იყო ერთი დიდი გაუტეხელი
და უსრულესი მებრძოლი დემოკრატი
ჩვენი ქვეყნის უბედურებასთან და, ამას-
თანავე, იმისი საოცარი ჩონგურის სიმნი
აღმოსთვეამდენ უკვდავ, ცოცხალ გრძნო-
ბათა და აზრთა ძლევა მოსილებას. იმი-
სი კალამი იყო „სისხლში ნალესი“ ხმა-
ლი და მთელი იმისი დიდი შემოქმედე-
ბითი ტალანტი სარკეა ჩვენი ერის ნახე-

ვარ საუკუნეზე მეტის ყოფისა და ვითა-
რებისა, მწუხარებისა და მხიარულებისა,
ჭირისა... დიახ ჭირისა უფრო, ვიდრე
მხიარულებისა...

ლოდსავით მძიმე და აუტანელია,
სულის მომშხამელია და გულის მომ-
კვლელი ასეთი დიდი უანგარო მამული.
შვილის დაკარგვა იმ დროს, როცა
ჩვენს გარშემო იმის ტოლს ვეღარავისა
ვხედავთ. საქართველოს დაუძინებელს
მტერსაც რომ დაენახა ჩვენი ასეთი და-
ობლება იმასაც—კი სისხლის ცრემლე-
ბი მოადგებოდა თვალებზე და სასოწარ-
კვეთისას დაიძახებდა:

უბედურო საქართველო!..

. და იგი მართალი იქნებოდა... არა
აქვს საზღვარი ჩვენი სულის აღშფოთე-
ბას და გამწარებას, ჩვენი გულის მოკვ-
ლას და გულწრფელ სევდას. როგორ?

. ნუთუ წარმოსადგენია ჩვენი გრძნო-

ბა შეურიგდეს იმას, რომ იგი, ვინც
იყო გახორციელებული მჩქეფარე, აპ-
რალებული სიცოცხლე, დიდი მღელ-
ვარე ტემპერამენტის პატრონი, მუდმი-
ვი სიჭაბუკის და ენტუზიაზმის მატარე-
ბელი, უნდა განქრეს საუკუნოთ, სამა-
რადისოთ?

არა. ჩვენი გრძნობა—გონება ვერ
ურიგდება ასეთს დიდათ მწარე და მოშ-
ხამულს ამბავის გაგონებას. ჩავხედოთ
უფრო ღრმათ ამ სინამდვილეს.

რა მიზეზია და რათ აკლდება ასე
საშინლათ გულს აკაკის მოშორება?

ამის პასუხს ჩვენ უურნალის შემდეგ
ნუმრებში წარმოვადგენთ. დღეს—კი, ამ
ჟამათ, არც დროა, არც ადგილი აქვს
ცივს მსჯელობას და ფილოსოფიას...

ხომლელი.

აქაპის გარდაცვალების გამო.

საქართველოვ, რა გაწუხებს, გული რისთვის გტკვა?
რისთვის კვნესი ისე მწარეთ, ცრემლი რისთვის გცვივა?
ცეცხლი ერთხელ ანთებული ცეცხლათ ისევ ღვივა,
ვერ ჩააქრობს მხურვალე ალ ნისლი ფრთა—ტივტივა,
საუკუნეთ ღვიძლი შევალი, ისე, როდი კადება,
და, ვალმოხდილ ჩვენს წინაპრებს, როდა ცეცხლება.
ძალი, ღონე თვის სიყვარულს, თუ არ მოასესმარა,
საქართველოვ, მაშ აკაკი არ მომკვდარა, არა!

მზის სხივებით განათბობი, ვარდი როდი ჭკნება,
თუ თანდა-თან ახლოვდება გაზაფხულის გრძნება.
იადონი, როცა ყვავილს ნანას ეუბნება,
როდი ახსოებს სიცოცხლისა და სიკვდილის მენება!
ნეტავი მას, ვინაც იცის ჭვეულის ზნე და ფასი,
მწარეთ ალარ ეჩვენება მას სიცოცხლის თასი.
და იგი კი, ვინც ყოფინისთვის შვებს ცრემლი ღვარა,
უკვდავია... და აკაკიც არ მომკვდარა, არა!

კიდით კიდე საქართველო შესძრა, დაიარა,
რომ გაეგო მისი გულის წყლელი და იარა.
ის ეწამა და ღვთიური ცეცხლით ეზირა,
და სამშობლოს სახე იყო მისი თმა — ჭალარა.
დიდხანს, დიდხანს არე მარეს თავზე ადგა მცველით
და მღეროდა, ისე გრძნობით, ისე გულდამწველით,
რომ სამშობლომ მისი ლანდი მტკიცეთ შეიყვარა,
შეიყვარა და აკაკიც არ მოკვდება, არა!

სიყვარული ველ — მიღერების ტექითნი მთისა,
თავის უცხო და უსაზღვრო გულით შეიოვისა,
მას ესმოდა ცის დუმილი და მრიალი ტყისა,
მან იკოდა მშობლიური წყაროს ხმა — კისკისა,
და არსება მისი მთელი, მისი სული წმიდა;
ბუნებათა ზღვა — სივრცეში ჰანგათ გადავადა,
გადაეწინა მდუმარებას და თვალს მიეფარა,
დაიფარა, მარა მაინც არ მომკვდარა, არა!

ნეტავი მას ცხოვრების გზას, ვინც გაივლის ასე,
ქეგლით შექმნის მის სამარეს სხივთა სიკისასე,
მის საფლავზე ყვავილები გაიშლება წყნარი,
და ბინდუნდება ნაზი ქროლვით შესძრავს ნიავ — ქარი.
გადააფრიკვებს ყვავილების სურნელს დამატებობებს
და ჩასძახებს: სასურველო, ცრემლს ნუ აფრქევ, კმარა,
შენი ყოფნის სიამაყე არ მჩიმკვდარა, არა!

გადაივლის საუკუნეთ რგოლი სუბუქ — მქროლი,
მარა ისევ იელვარებს ცის ლაუჯარდი ბროლი;
და იქ ხელი იდუმალი, ვარსკვლავების სახით,
დასჭრის სიტყვებს ამოქარგულს ვარდით და ზამბახით:
საქართველოს ყავდა და ყავს საამაყო შვილი,
დათრგუნა და შეაჩვენა ოვით საფლავის ჩრდილი,
და უცვლელი უკვდავება ირგვლივ დაამყარა...
საქართველოვ! მაშ, აკაკი არ მომკვდარა, არა!

მის საფლავზე მძლავრი ნაძვი ტოტებს ჩამოაფენს,
უკვდავების და ცის ნანას ეტყვის მიღამოებს,
და მის ჩრდილ ქვეშ, იქ ყოველ დღე საოცნებით მოვა,
ახალგაზდა და სევდინ მომღერალთა გროვა.
მოიგონებს მოხუც მოისანს საუბარი წყნარი,
აკვენესდება, ატირდება, აღელდება ქნარი,
და მიღამოს მოევლება ხმები წარა — მარა,
ჩენი ყოფნის სიამაყე, სცოცხლობს არ მომკვდარა!...

გ. ტაბიძე.

აპაკის ცხედართან.

„ნეტარ არს ერი იფი, რო-
მელმან იცის გალობა შენი.“
(უსალ. 88—14)

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ქართველთ უიღბლო მხარეო,
ძაბა-ფლასითა მოიჩოე,
ივლოვე, იშტეხარეო,
ფალვარე ცრემლი ნიკადათ,
ცრემლი წრუელი და ცხარეო...
უბედო ბედმა ნაღველი
სხვა არ გაქმარა მჭარეო,
შვილი მოგტაცა უბადლო,
შვენება შინ და გარეო...
ალარ გყავს შენი აკაკი,
შენი მზე, შენი მთვარეო,
ონინში სუფრულის მღერალი
და ჭირში მგლოვიარეო,
ვარსკვლავი შენის ღიდების,
მოკაშაშ-მოელვარეო.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
თალხით შისილო მხარეო,
სამშიმრის შემდევ, ნუგეშიც
ისმინე, შეიწყნარეო!
ნუ დაუცემი სულითა,
ქედი ნუ მოიხარეო,
ჭრილობას კვნესა არ შველის,
სხვა რიგათ ემკურნალეო.
აკაკის მცნებას მისდიე,

მის გრძნობას ეზიარეო,
მის ცრემლით ნალტობ გზახედა
წაღმართად წაიარეო,
მტერს მტრულათ დახვდი, მოყვარეს
მოყვრულათ ეტრფიალეო,
შაგვრელთ გულ-და გულ მკეთე,
ჩაგრულთ მშედ აეფარეო,
ძმობა-ერთობის დროშის ქვეშ
შვილთ თავი მოუყარეო,
სიყვარულის და სიმართლის
ლამპარი წაიმძღვარეო.

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
გულდაკოდილო მხარეო,
შეიტკე შენი პირმშო ძე,
ლროებით ესამარეო!
ლმერთი დიდია, ჭრილობა
გაგიმთელდება ადრეო,
ჯოჯონეთისა ნგრევაში
გახდები მოზიარეო...
და შენთან ერთად ილსდგება
აკაკიც პირმცინარეო.
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
არწივთა მზდელო მხარეო!

ვერმისან შვილი.

27 იანვარს 1915 წ.

ქუთაისი.

განთისაღი № 3

მრკვირული საბოლოოები, სალიცერაფურო და სამეცნიერო უწყება.

ქუთაისში ჭლით 4 მ.,
ნახევარი ჭლით 2 მ., სამი თვით 1 მ. ოცნებათ 4 გ. 60
კ., ნახევარი ჭლით 2 მ. 30 კ., სამი თვით
1 მ. 15 კ., ოცნებათ 50 კ., რედაქციის მი-
სამართლი: კუთაის რედაქცია „განთისაღი“

№ 3

1 თ ე ბ ე რ ა ბ ი ლ ი

1915 წელი.

ს ა უ ბ ა რ ი

ნაწყვეტი.

(ლექსი პროზა).

... დ ი გ ი ა ვ რ ც ე ლ ე ბ დ ა ს ი თ ბ ი ს ,
რ ი გ ა რ ც მ ჟ ე ...
ი ს მ ა თ ბ ი ბ დ ა მ ე ,
მ ე ა ლ ე ს ე ბ მ დ ა , მ ა ტ ე ბ მ დ ა .
ს ი თ ბ ი ი გ ი ი ყ მ ნ ე ტ ა რ ე ბ ა ,
ს ი ხ ა რ უ ლ ი ,
ი ფ რ ც ე ვ ი დ ა ს ი ნ ა თ ლ ი ს
ო რ წ ყ ა რ ი თ ა გ ა ნ :
დ ა მ წ ვ ე ლ თ ვ ა ლ თ ა გ ა ნ ,
რ ი მ ე ლ ნ ი ც ი ყ ვ ე ნ წ ყ ა რ ი ნ ი
ს ი ნ ა თ ლ ე — ს ი ხ ა რ უ ლ ი ს ა ,
ნ ე ტ ა რ ე ბ ი ს ა ,
ც ხ ვ ე ლ მ ყ რ ფ ე ლ ი ე ნ ე რ გ ი ი ს ა
დ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა .
დ ი ა ხ , დ ი ა ! შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ,
რ ა დ გ ა ნ მ ხ მ ლ ი თ ე ს წ ყ ა რ ი
ქ მ ნ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს .
შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ი ყ ვ ე ბ ე ბ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ,
ი მ ი ს გ ა ნ გ ა მ ი მ დ ი ნ ა რ ი ბ ს ,
მ ი თ ც უ ც ხ ლ ი ბ ს ,
გ ა შ ი ც კ ვ ი მ ბ ს უ კ ვ დ ა ვ ე ბ ა ს :
 შ ე ნ ი ე რ ე ბ ა ,
 ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ,
 შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა .
რ ა ძ ა ლ ა ა ,
რ ა ძ ლ ი ე ბ ა ! ..
ე ს ძ ა ლ ა ა მ ი ძ რ ა ვ ე ბ ს
მ თ ე ლ ს კ ა ც მ ბ რ ი ი ბ ა ს .
ი გ ი ვ ე ა მ ი ძ რ ა ვ ე ბ ს
შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს მ ე ო ხ ე ბ ი თ .

გ ე ს მ ი ს ?

დ ე დ ა - მ ი წ ა ს ა ც დ ა ს ი ვ რ ც ე შ ი
გ ა ფ ა ნ ტ უ ლ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს ა ც დ ა ,
მ ი მ ზ ი დ ვ ე ლ ი ბ ი ს ძ ა ლ ი ს მ ე ო ხ ე ბ ი თ .
დ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ც ხ მ ბ
მ ი მ ზ ი დ ვ ე ლ ი ბ ი ს ძ ა ლ ა ა !
მ ა შ ა ს ა დ ა მ ე , ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს ...
ყ ო ვ ე ლ ი ვ ე მ ო ძ რ ა მ ბ ა
მ ი ს გ ა ნ წ ა რ მ მ ე ბ ს .
ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ძ ა ლ ა მ ა ს შ ი ა .
დ ა , ა ი , ა მ ს ი თ ბ ი თ ი ,
გ ა თ ბ ა ჩ ე მ ი გ რ ძ ნ ი მ ბ ა ,
ჩ ე მ ი ა ზ რ ი .
მ ე ც მ ი თ ც უ ც ხ ლ ი ბ ,
მ ი თ ვ ე ვ ა ზ რ ა ვ ნ ი მ ბ ,
მ ი ს მ ე ო ხ ე ბ ი თ შ ე მ ო ვ ე მ ე დ ე ბ ა ...

მ ე მ ო ვ ე დ ე ბ ი .

შ ე ნ ც მ ო ვ ე დ ე ბ ი .
მ ო კ ვ დ ე ბ ი ა ნ ყ ვ ე ლ ა ნ ი ,
ვ ი ნ ც დ ლ ე ს ც ხ ვ ა რ ე ბ ე ნ .
მ ო კ ვ დ ე ბ ი ა ნ ი ს ი ნ ი ც ,
ვ ი ნ ც კ ვ ლ ა ვ ი შ ი ნ ბ ი ა ნ ,
ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი — კ ი ი ც ლ ც ხ ლ ე ბ ს .

ა ყ ვ ა ვ დ ე ბ ა ,

შ ე ქ მ ნ ი ს ა ხ ა ლ ა
დ ა ა ხ ა ლ ს ლ ი რ ე ბ უ ლ ი ბ ა ს
ს ა მ უ დ ა მ ო თ .

გ ე ს მ ი ს ? ს ა მ უ დ ა მ ო თ ...

დ ა მ უ დ ა მ ი ც ლ ც ხ ლ ე ბ ს
შ ე ნ ი ე რ ე ბ ა , ს ი თ ბ ი , ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი .

მ უ დ ა მ ! მ უ დ ა მ ! ..

შ ე ნ ი ე რ ი , ვ ი თ ც უ ც ხ ლ ე ბ ა ,

ს უ ბ უ ქ ი , ვ ი თ ე ფ ე რ ი .

ი ს ა ფ რ ც ე ვ დ ა თ ვ ი ს ი რ გ ვ ლ ი ვ
ს ი თ ბ ი ს , ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს .

միևնույն եմա,
զուտ սամուռենու սուրբալովա,
գողցաւ մշմունք...
տպալոցի?
թյ պարունակու,
հռուս մատ եցուցու,
հռոգորու սովորութիւնն Պատառու,
դա մոխութազուն ուսոն
օգործուց, զուտ սովորութիւն.
դա մեւ պարունակու մատ... պարունակու,
մեռունու, ուս առ պարունակու,
ըշլու սեպակ մշմունքու,
զլոնդոցուն.

դա դալոնեցնուլու պաշտառուն
մուս նուրություն.
Մշմունքու դա յնա
մունքունքուն...
յնա մունքունքուն,
մարա պարունակուն.
Տապարուլս զե՞տունքուն...
ովանց յունաշունուն.

19 2/3 14 թ.

Ց Ա Յ Ե Ր Ո .

Թյ մենձլաց յս յանձնակցին, նկատա—ալմատրենու թյաց մշմունքու,
զաշնչու, նմոնու, զուտ նկատ մելու և մելու, հռոգորու մատունուն.
զաշնչու, գուսոնանսցուն նշանուուրեցին նշանուն.
նշանու նշանու մատունուուրեցին, ամելունուուրեցին, մենցին.
թյ մշմունքու նշանունու նշանունու նշանունու նշանունուն գրուն
թյ մշմունքու գրունուն, ծորունուատ մունքունուն
դա ալմատրենու նշանունուն, հռու նշանունու նշանունուն
դա սաեց մշմունքուն գանցուու նշանունու նշանունուն
նշանունուն սաշանունուն, դա պատունուու, հռու նշանուն
ուսցու նշանունուն գումունուն գումունուն գահունուն,
մարա գումունուն կանցեցի, լուցնցհրունուն պատմունուն,
թիշեարու ամոնայցնուն ունունուն դա գրունունուն
ամոնայցնուն, հռունուն մունքունունուն յմունու նկատ յնա—յնէն,
կանցու անունուն մունքուն
սոմունուն զալուկունուն—
սամարագունուն, դաշունուն և նմոնուն մունքունուն դարիցին!

Ց. Ըստուց.

“ՅԱՌ, ՀԵՇՆ!”

(լոյկուսեպուրուն).

ռմու առուն. յայտա նշանուն... գլուխ դա գրունուն արյ—մարյ...

միշտարեցին նշանուուրեցին հայուն մեարյ...

— նշանու, զու գլուխ, զու անունուն, հա սպոտունուն մունքունուն?

— ուս, հռու մունքուն կանցեցին մեցասատ պարմուն յմունուն սամարագունուն:

“ՅԱՌ, դեւա, դեւա, զալուկունուն, մունքունուն լանդատ, հրդունատ!

ერთი კიდევ, კიდევ, დედა! სად ხარ ძუძუ,, ვაი, დედა!“
 — აგერ, ოხრილში დაკოდილი გდია ვაჟიუპატრონოთ,
 მკერდი სისხლით შეუღებაგას, ქშინაგას, ოხრაგას ვაშ კაცურათ,
 ვერც იფიქრებოთ, თუ ის ლაჩრათ მეხვდებოდა ომში სიყდილს,
 მარა... ჩუ! მოუსმინეთ! მწარეთ კვნესის „ვაი, დედა!“
 — ეგერ, ხის საჟაცეზე გმირი გდია, უგრძნობელათ;
 მკურნალები ახვევია, მკერდს უხვევენ ხელოვნურათ,
 გდია—იგი... არ ინძრევა... წყლულებს ითმენს გაშ კაცურათ,
 მარა კარგათ დაუკარიდით! ისიც კვნესის: „ვაი, დედა!“
 თფილ ოთხში, ფიქრში გართულს, მოუსმინეთ ახალგაზდებს,
 იქით—აქეთ ბოლოთას ცემენ, მკაცრ მსჯელობენ—ბაასობენ:
 ამას გმობენ... იმა, კიცხვენ... იღლუბიან... ისვენებენ.
 მოსვენების—ძილი დროსა, ოხრენ... შფოთვენ: „ვაი დედა“.
 ეს სიტყვები ცველგან გვესმის: ბრძოლის ველზე, მიდორ—ტყეში,
 ტბის ნაპირას, ლრმა თხრილებში, თფილ ოთხში, თუნდ კლდე-ლრეში.
 იგი, ცველგან მედგრათ ებძვის შავს კაეშანს, მწარე ფიქრებს—
 და ცოველავის ადამიანს ატკბობს, მყოფელს შავ-ბნელ დღეში.

თეოფ. ხუსკივაძე.

„ზამგას ჩეკაშაპე“.

ახალი ქართველი მეოსანი.

ფრიდონ გაფრინდაშვილი თანამედროვე
 ახალგაზდა ქართველი მეოსანია და ლექსების
 წერა, ისე ეხერხება, როგორც ეშით მთვრალ
 ბულბულს ბაღში გამოიბა. უტყუარ ჭეშმარი-
 ტებას გამბობ ამ შედარებით!

ცვავილოვან ბაღში ბულბული გალობს
 აღტაცებით!.. რამ ამეტყველა ეს უმანკო,
 პოეტთაგან შეკვარებული ფრინველი ამ ლვთა-
 ებრივ ღამეები?..

აშბობენ: ბულბული ვარდმა მოხიბლა
 და, უიმედოთ შეყვარებული მიჯნური, გულ-
 ამოსკენით მოთქამს მიუწლომელ სიყვარულ-
 ზეო.

თუ ეს მართალია,— ფრიდონ გა-
 ფრინდაშვილი სწორეთ იმ ფრინველის ბედის
 მოზიარე ყოფილია.—

ამ ორი გაზაფხულის, წანეთ, თექვსმეტი
 წლის ფრიდონი არც თითონ იყო. დარწმუნე-
 ბული, რომ ის მგოსანათ იყო დაბადებული.

ჯერ კიდევ ნორჩი და პირტკველი,

ის მოწაფეთ ირიცხებოდა ერთს საშვალო სა-
 წწავლებელში. სწავლაში არ იყო ბეჯითი და
 ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მისი ნაზი აგებუ-
 ლობა და სათუთი გრძნობანი ვერ შეგუებო-
 დენ სასწავლებელში გამეფებულ მშრალ პი-
 რობებს. მას სულ სხვა იტაცებდა, სხვა რამ
 ხიბლავდა და გაფრინდაშვილის ბედიც, შეიძ-
 ლება ტრალიულათ დამთავრებულიყო, რომ
 მას არ შემთხვეოდა ის, რაც განჯვლით ჭა-
 ბუკობის დროს დიდებულ ბაირონს, ჰაინეს,
 ღვთაებრივ დანტეს და ჩვენს უკვდავ შოთა
 რუსთველს!..

ასეთ საიდუმლოებას მომაკვდავი ადამია-
 ნი არღი გაიგებს, თუ შრომის მოყვარე ბიო-
 გრაფი არ იტვირთებს მის გამომტევნებას...
 ახალგაზდა გაფრინდაშვილს სწარეთ ჩვი-

დმეტი წელიწადი უსრულდებოდა, როცა მან
 რაღაც არა ჩვეულებრივი ცვლილება შეამჩნია
 თავის არსებაში.

ეს, ჯერ კიდევ უცნობი მისთვის გრძნო-
 ბა, ხან ნაზის ოცნებით აღელვებდა მას, ხან
 ურუანტელივით დაუარდა მთელ სხეულში და
 გულზე მოაფრინდებოდა, ხან—კი უეცარის

მოვლინებით სულის შყუდროებას უკარგავდა. რაღაც ჯადოსნური ძალა ქონდა ამ იღუ-
შალ სტუმარს, რომელიც ბოლო ხანგბში მომზიპ-
ლავი ქალწულის სახით ეცხადებოდა გაფრინ-
და შეიღის.

ხშირათ, შუა ღამისას, როცა ოცნებით
გატაცებულ ფრიდონს ჯერ კიდევ არ ეძინა,
მოფრინდებოდა ეს მოჩვენება ქალწულის სა-
ხით, თეთრი სამოსლით, ანუ სრულიათ ში-
შველი. თოვლივით თეთრი მისი სხეული ოთა-
ხის სიბნელეში გამოეხატებოდა ყმაწვილს.
როგორც ქანდაკება. სარეცელზე მწოდი გა-
ფრინდაშვილი საშინელი სულისკეთებით მა-
შტრეტებოდა ქალწულის გრძნობით მოლიმარ
ლაღის ფერ ტუჩებს, მყედრჩე გაუშლელ ორ
ვარდის კუკურს, მის სწორსა და შნორან ფე-
ხებს...

ზეშთაგონებით პყრობილი გაფრინდაშვი-
ლი კრძალვით გაიშვერდა ხელებს, რომ ჩა-
ხვეოდა ჰაეროვან ქმნილებას, მარა... მარა
ჩვენება სიმარივით ქრებოდა და გაფირებუ-
ლი ყმაწვილი თრთოლვას იწყებდა. გრძნობა-
თა ღელვისგან დაქანცული და სასომიხილი
ამ დროს ის ჩურჩულებდა რაღაც სიტყვებს სიმ-
ბოლიურის მნაშენელობით. — ეს იყო უმანკა-
ლოცვა, ამათ ვეღრება უიმედოთ შეეყვარებუ-
ლისა. მოჩვენება კი, ქალწულის სახით, თი-
თონ მუხა იყო.

ფრიდონის გულში ცეცხლის მსგავსი რა-
ღაც დაინთო და, რაც დრო გადიოდა, ეს
უცხლი უფრო ძლიერდებოდა. გავიდა ას-
დენიშე თვე და, ამ ხნის გინმავლობაში, მო-
ხიბლავი ჩვენება, თითქმის ყოველ ღამეს ეც-
ხადებოდა გაფრინდაშვილს. მხოლოდ მისი და-
ჭრა და გულში ჩახუტება ვერასოდეს ვერ
მოახერხა ყმაწვილში. გაშლიდა ხელებს, თუ
არა, ეს უკანასკნელი მკედრუში ჩასაკრავათ,
მოჩვენება ერთს შეიფრთხიალებდა და უგზო-
უკვლიოთ თვალს მიეფარებოდა. ბოლო ხანე-
ბში, თითქო განგებო, ქუჩაზედაც — კი გამო-
ცხადებოდა გაფრინდაშვილს ეს „მოჩვენება“,
ქალწულის სახით. აქ — კი ის სულ სხვა გარე-

გნობას იღებდა. ღრმათ ჩაფიქრებულს და და-
სევდიანებულ ფრიდონს თვალშინ გაუელვებ-
და კეკლუცი ბანოვანი მიხაკის ფერი შლი-
პით და წიგნებით ხელში. (ფრიდონი რომ
შეცომაში შეეყვანა, ჩვენება ალბათ მოსწავლე
ქალის სახეს ღებულობდა.)

ხნაღისხან — კი ქუჩაზე მიმავალ გაფრინ-
დაშვილს ანაზდათ ჩაუქროლებდა ქალწული
ვინმე, გრაციულათ მიმცურავი: თეთრს, მო-
კლე კაბაში და აბრეშუმის შავ წინდებში სუ-
ქანსა და სწორ ფეხებზე. ფრიდონი, — პოეტის
თქმის არ იყოს, ცახახებდა, როგორც მოწ-
ყვეტილი ნარგიზი... ამ დროს მას სურდა
მისულიყო ჰაეროვან მოჩვენებასთან, ამბორი
ეყო მის ლალისფერ ტუჩებისთვის და მხურვალე
ლექსით დაწვა მისი გული.

ერთ ხალისიან მაისის დილას, გაფრინდა-
შვილმა ჯავრის გასაქარებლათ ქალაქის ახლო
მდებარე მთისკენ გასწია. მას ისტორიული
ნაშთების დათვალიერებაც სურდა. დილას
იჯდა ფრიდონი ნანგრევთ შორის იდავ დაყ-
რინობილი. მწარე ნალველი ნემსივით ჩხვლე-
ტდა მას გულსა და გონებაში. ფიქრით და-
ტყვევებულ მის გრძნობებს არ აღელვებდენ
არც ვარდ — ყვავილების სურნელებანი, არც
ბულბულის გალობა არც წყაროების ჩუ-
ხჩები. იჯდა გარინდებული და სევდიანი თვა-
ლები მიყვარო უსაზღვრო ცის სივრცისთვის.
ამ დროს შან უეცრათ თვალი მოკრა წყაროს
პირათ ხეზე მიყრლნობილ ჰაეროვან ქალწულს.
ანკარა წყალში ნათლათ მოჩანდა შეენიერი
სახე და მის წყობილ თითებში მოთამაშე თე-
თრი ზამბახი. დალონებული ყმაწვილი უეც-
რათ გამოირკვა, ერთი შეერთა... და ნელის ცახ-
ცხით მიუახლოვდა შეენიერს. სწორეთ ამ
დროს, გაფრინდაშვილის გულში აღელდა ტფორ
ბის ზღვა და მის ბაგეოგან გაისმა სიყვარუ-
ლის ნაზი სიმღერა.

— ჰაეროვანო, ამბობდა ის გრძნობა მო-
რევით, ღვთაებაო სილამაზისა, ზეცის ქალ-
წულო, ლელოფალო დედამიწისა! იყო ლმო-
ბიერ: შეიბრალე შენი მიჯნური! ოხ, ტურფავ,

ტურფავ, რათ ხარ გულცივი? რათ გსურს
შილათ მხვდეს შავი სამარე?!.

ყმაწვილი წამით შეჩერდა. პასუხს უკდი-
და, მარა ქალწული ხმას არ იღებდა. გაფრინ-
დაშვილმა ისევ განაგრძო თავის სიმღერა.
ცოტა ხნით ისევ შეჩერდა, მარა, პასუხის ნა-
ცვლათ, მას მოესმა გულგასაგმირი:

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა! — იცინოდა შეუბრა-
ლებელი ქალწული!

— რა შეგიძლია, შე სუსტოარსება, რომ
ლირის იქნე ჩემი სიყვარულის? —

გაფრინდავილს იმედი მოუცა და ისევ
განაგრძო:

— ღმერთათ ვიქტევი, ჰაერს გავაპობ, და-
ვიმორჩილებ ზღვას ჭე ხმელეთსა! იალბუზს წიხლს
ვკრავ — შუა გავაპობ და ზედ დაგიდგამ ალმა-
სის ტახტსა! ვარსკლავებს დავკრევ, ფეხთ
წინ დაგიუენ, მოვა თაყვანს გცემს ბოროტი —
უჩჩი! ოლონდ, ლამაზო, გულს ნუგამიტე...
ოლონდ მაჩუქე ეგ შენი ტუჩი! —

ქალწული, თითქო მოალბო: მას ბავევები
ლიმილით აუთამაშდა.

— ახლა — კი შეგიძლია შემიყვარო და
შეც შეყვარები, როგორც ზეკაცი, ძლიერ და
მძლეოთა მძლევიო, “ წამოიძახა ქალწულმა და
ორივე ხელები ყმაწვილისკენ გაიშვირა. ხან-
გრძლივი კოცნა მოყვა მათ შეერთებას.

— არ დავივიწყებ მაგ ზამბახს, შენს ლა-
მაზ თითებში ამოსულს“, თქვა ყმაწვილმა, გა-
მოთხოვებისას.

ფრიდონ გაფრინდაშვილი დაეშვა მთი-
დან. ის მიდიოდა ამაუი, ბეღნიერი და ძლევა
მოსილი. შევიდა ოთახში, თუ არა, კალაში
ხელი ჩასკიდა და მოუსვენებლივ, ზედიზედ
დასწერა შვიდი ლექსი. აი ეს ლექსებიც: „ამ-
ბორი“, „წყარო“, „ვიხილე ტურფა“, „რას
მიქვიან მწუხარება“, „ზეკაცი“, „წითელი
ალერგისი“ და „ყვითელი კოცნა“. აქ მხოლოდ
ორი ლექსის შინაარს მოვიყვანთ. ეს ლექსები
ავტორმა თავის სატრფოს ნატაშას უძღვნა.

1 ამბობი

მთის წვერს ვეწვიე კაში აღმართულს,
სოფლიოს ტანჯვა გულს მისერავდა!
ბულბული სტევნდა,
წყარო მოთქვემდა.
ნამს აპკურებდა, გულს აღელვებულს!

მაგრამ, ოჯ მუზავ, ამას რას ვწედავ?!

უცებ გაიღო ედემის კარი!

ტურფა, ნარნარი,
ეშხით დამდნარი,
სურნელოვანი, როგორც ნასარი,
იდგა ასული, თვით დემონს ვფიცავ.

ოი, სატანავ, მომეცი ძალა,
მსურს, ტურფავ, დავტკებე შენი ალერსით!
ათი მაკოცა,
ასი ვაკოცე,
მიყო ამბორი,
ვუყავ ამბორი...

ტფობა ვუმიღერე მდუღარე ლექსით!

ოი, სამშობლო! მონაწილე ვარ,
მაგ მწარე ხვედრის, ცას გეფიცები!..
მაშინ ბულბული სტევნდა, გალობდა...
ნამს არ იღებენ დღეს ბულბულები.

2 ზეპაცის სიმღერა

იალბუზის მაღალ წვერზე
მე მყავს სატრფო ჩემი ნაზი,
ლამაზი,
მალხაზი,

ის ღმერთია, მე ქურუმი
მსურს მარათ მას ვეთაყვანო,
ვენაცვალო,
ვუთვალთვალო.

მე მას ვკოცნი და ამ კოცნის
ნაყოფია თვით სამყარო,
უანგარო,
როგორც წყარო...
შენ კი, ბრბორ, ღმერთ გამწყრალო
მიწის შვალმა — მიწა თხარე,

ოფლი მწარე,
გადმოღვარე.

აქ რა ვინდა?! ვერ მომწვდები,
ამ წვერვალზე უჩედურო,
უგუნურო,
უსუსურო... .

დასწერა, თუ არა ეს ლექსები, ფრიდონ
გაფრინდაშვილი ჩიტიქდა და მთელ არ
საათს თავი ის აულია: ის ეძებდა ფსევდონიმს..

— ისეთი ფსევდონიმი უნდა ამოვირჩიო,
არც ერთ ქართველ მწერლებისას არ გავდესო,
დაგაწვიტა ფრიდონმა.

— შმაგი?..

— არ იფარგებს! აბა?..

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, ფრიდონს
სახე გაუნათდება.

— ზამბახი!.. საუცხოვო, საუცხოვო ფსე-
ვდონიში იქნება!

— ახლა გვარიც შესაფერი უნდა მოვი-
გონ! თქვა ფრიდონმა.

— რიონისპირელი? დაეკითხა ის თავის
თავს.

— არა!.. „პირელი“, თითქმის ნახევარ მწე-
რლობას ძეგს ფსევდონიმა:

„არავისპირელი, ახოსპირელი, მღვიმე-
ლი... არა, არა, ეს არ მინდა!

— აბა სიმონისშვილი?.. (ფრიდონის ცხო-
ნებულ მიმას სიმონი ერქვა).

— არც ეს... უჲ, რამდენი „შვილებია! —
ნინოშვილი, ევლოშვილი, თომაშვილი, გრი-
შაშვილი, ტუქშიშვილი, უიშვილი, პელაშვი-
ლი, არა, არა! —

— ზექაცაძე! წამოიძიხა გაფრინდაშვილმა
და ნეტარების ალში განვეულმა, თმაში ხე-
ლები წაივლო.

ფსევდონიმის მონახვის შემდეგ, ფრიდონ-
მა გადაათეთრა ლექსები და თითოეულ მათგანს
ბოლოში მიაწერა: „ზამბახ ზექაცაძე:“

შემდეგ დასწერა წერილი რედაქციის მი-
ზართ, რომელშიაც თხოვდა რედაკტორს ყურა
თლება მიეკუთა მისი ლექსებისთვის.

— ეს ჩემი პირველი ლექსებია, წერდა
ზამბახი რედაკტორს. მე ჯერ ახალგაზდა ვარ,

სულ თუთხმეტი წლისა. იმედია, დამიბეჭდავი,
ყოველ შემთხვევაში, თქვენგან პასუხს ველი.
ჩემი შისმართი...

ჯერ სულ ახალგაზდა ზამბახ ზექაცაძე
დარწმუნებული იყო, რომ ლექსებს დაუბეჭდავ-
დენ. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ხუთი...
ერთი კვირა.

ზამბახს ცოტაოდენი ეჭვი შეეპარა. მარა
სწორეთ მერვე დღეს იმ დალოცვილმა ფოს-
ტალიინმა მის კარებზე დაკაცუნა.

— შემოდით!

— წერილი გახლავთ თქვენ სახელზე. —

— მომეტი!

ფრიდონმა გახსნა წერილი.

— ააა, რედაქციიდან მწერენ... დიახ! ჰო...
ლექსები გაუგუგზანე, საკუთარი ლექსები... მო-
უწონებიათ, დავსტამბავთთ! გმადლობაზ წერი-
ლის მოტანისთვის... მოითმინეთ! ჰა, თქვენ ეს
ერთი მანათი — მეტი არა მაქვს. —

გაკირვებული ფოსტალიონი გამოართ-
მეცს ფულს და დიდი მადლობით გადის ოთა-
ხილან. ფრიდონიც სწორეთ ამას უცდიდა.
დიდის გაჭირებით იმაგრებდა ის აღტაცებას.
მარტო დარჩენილი ფრიდონი ზეზე წამოიჭრა
და თმაში ხელები წაივლო.

— ღმერთო, ღმერთო! მაშ, მე პოეტი
ვარ? ნიკით საქსე?! ხა, ხა, ხა, რა ბედნიერე-
ბა! არ გავიგუდე!.. ჩემო ნატაშა! ჩემო ცუგ-
რუშელა, ნატაშა! იძახოდა ფრიდონი, ხმა მა-
ლლა.

— წავალ მასთან, გავიქცევი და ყველა-
ფერს ვუამბობ. არა, ჯობია დავიცადო. რა
გაუკეირდება, რომ ნახაეს დაბეჭდილს: „ვუ-
ძლვინი ნატაშას!“ ფრიდონი აღარ წასულა მიჯ-
ნურთან. ის დარჩა თავის ოთახში და რამდენ-
ჯერმე გადიკითხა ის, რედაქციიდან მოწერი-
ლი წერილი.

პატივუმეულო ფრიდონ! ბოლიშ ვიხთი,
რომ თქვენი ლექსების დაბეჭდეა დაგვიანდა.
ვერას გავხთით, დაბეჭდი მისალები ბეგრი
ვვერთა. თქვენმა ლექსებმა შოელი რედაქცია
გაცვიფრებაში მოიცვანა. ერთხმათ აღიარეს;
რომ თქვენ ბუნებრივი ნიკით ხართ დაჯილ-

დღებული. ოქვენი ლექსების ერთი საუკეთესო
თვისება ის გახლივთ, რომ შიგ მოქალაქო-
ებრივ თემას აღგილი არა აქვს. ეცადეთ,
რაც შეიძლება, მეტი სიმბოლიურათ, ე. ი.
მეტ ბუნდოვანათ წეროთ ლექსები. აზრს, მა-
ინცა და მაინც, ნუ გამოეკიდებით. დღეს სა-
ზოგადოების სიმპატია ამ ბუნდევანებისა და
ოცნების კენ არი მიმართული. პატივისცემით
რედაკტორი ყუთმაჯი შეიღილი.

P. P. S. გარდა ამისა, გთხოვთ, თქვენი
პორტრეტი გამოვიგზავნოთ. გაზეთის ნახა-
ტებიან დამატებაში გვისურს მოვათვისოთ...

03. 0-260

ԱՅՆ ՎՐԵՄԸ ՀԱ ՅԱ ԱՇԽՈՒԹԵՎԱ.

ქართველ სტუდენტთა კრებული.

Nº 1.

წარსული წლის ზაფხულში ქართველმა
საზოგადოებამ ძირითადი ნობათი მიიღო, ქარ-
თველ სტუდენტთა მიერ მოძღვნილი. მე მო-
გ ასენჯებთ ჩემის დიზაინული კრებულის შესახებ.
ეს გარემოება დიდათ მნიშვნელოვანი იყო
ჩვენს კონკრეტული მარა ამ წიგნის გამოსვლა
და სრულიათ ევროპის ომის გამოცხადება ერ-
თი იყო. ამ უკანასკნელმა მიიპყრო მთელი
გულისყრი საზოგადოებისა. ამტომ, ძირითა-
სი ძღვენი გულწრფელ ახალგაზღლობის მიერ
მოძღვნილი. შესთერათ დაფასებული არ იყო.
პირადათ აღტაცებით ვეგებები ამ შესანიშვნავ
მოვლენას და ვუსურვებ ახალგაზღლობას, ეს
გზა აღმართ დაეგთოს...

ამ კურებულმა ცხადათ დაგვირტყაცა, რომ
არც ისემართალი ყოფილა საზოგადოების ბევრი
წევრი, რომელიც კერძო ლაპარაკში და მწერ-
ლობაშიც ითვალწინებით უკირილდა ჩეცს

მოსწავლე ახალგაზღიულია. ამ ახალგაზღიულის გულის სილრმეში დაფარული ყოფილი სამ- ჟაბლონსადმი ღრმა სიყვარული და ოვისი და- პეჩავებული მამულისადმი წრფელი და შეზნე- ბარე გრძნობა. ამიტომ მთელი ოვისი ახალ- გაზღური ენერგია, ნიჭი და ურომის უნარი იმ შერით მიუზიდავს, რომ მეცნიერების უ- კლავის წყაროს ხარბათ დასწრაფებია, და სურს მტკიცე სამეცნიერო ცოდნა თვის ხალხს გადასცეს: ცოდნა-კი ცხოვრების მძიმე უდელს ასობუქებს.

გავიმარჯოთ ამ კეთილ საქმეში! მობ-
ძანდით: კარი ლია გვაქვს თქვენდა მისასალ
მებათ.

ყოველი სტატია დიდი დაკვირვებისა, მუყაითი შრომის და სპეციალისტის ნაციონალური უფლება, სტატიის ავტორი ქართულ ენას სრულებრივ თავისტრულად ხმარობს როგორც და განყონებულ ცნებათა გამოთქმის ძროს. აღარ იყი, რომელს, რა მოუწონო: სტატიების მთელი ეს რიგი სიამოვნების მომგვრელია. ამიტომ მთელ ამ კრებულს, ისე ამ კრებულის ყველა ავტორთ ერთანაი განუყრელი ვაშა და მაღლობა ერგება: გამოთიშვა, გამოკლება რომელისამე შეუძლებელია. ბარაქა და ვაშა თქვენ!..

შენიშვნა დავიწყოთ იმ სტატიით, რო-

მელიც კ' ბულის ბოლოშია მოთავსებული და რომელიც ეყუთვნის მყურნალს. ს. კაბინს და სტუდ. პ. ქავთარაძეს: უჯრედი დაქსოვილი. ადამიანის ანატომიის შესავალი.

ისეთი ტერმინის შესახებ არას ვიტყვი, რომელიც, ჩემი აზრით, მოსაწონი და მისაღებია. ანიშავ მხოლოთ ისეთ ტერმინებს, რომელიც ავტორებს უხმარიათ. მარა რომელიც, ჩემი აზრით და შეხედულებით, შეწყნარებული და მიღებული არ უნდა იქნეს. ასეთი ტერმინების შეთანხმებით გასწორება ახლავე საჭიროა, სასარგებლოც და აუცილებელიც.

1). თეთრი სორსლები, ანუ ლეიკოციტები. მეონია, უმჯობესი იქნება, ვიხმაროთ სირსვალი და არა სორსალი სირსვალი არის ცირცის მარცვალი. სისხლის წითელი წინწკლები ძალიან წააგავს თვისი გარეგანი ფორმითა და მოხაზულებით სირსვალს: სისხლის წითელი წინწკლი მთლიანია, ხორციანი და გვერდები შეტყულებილი აქვს, ბისკიტის მაგვარია. აი, ამ მზრით სრული მსგავსება აქვს სირსვალთან. წინათ მე თვითონ ამ ტერმინის გამოსათქმელათ ვიხმარე სიტყვა ბუშტი. ცხადია, ეს სრული შეცდომა იყო, რადგან ბუშტი სრულებით გვრალია და შიგნით ცარიელია, თუ იქ მოთავსებულ ჰაერს მხედველობაში არ მივიღებთ. სორსალიც არ გამოდება, რადგან ეს მოგუნდებული ნაფლეთი რამ არის. ჩემი მოსაზრებით, უპირატესობა ტერმინს სირსვალი უნდა მიეცეს, მით უფრო ფიზილოგიაში ხშირია სისხლის წითელ წინწკლებს ცერ-ცვის მარცვლებს შეადარებენ ხოლმე.

2) მოციმციმე ეპიტელს ბეჭვიანი ეპიტელი ჯამია, როგორც ეს კიდევ აღნიშნა. პ. ვ. შერეთელმა.

3) ბევრ უჯრედოვანი ორგანიზმის მაგიერ, უნდა იყოს ბევრუჯრედიანი ორგანიზმი, რადგან დამოლოვება „ოვანი“ მაშინ იხმარება, როცა გვინდა ავნიშნოთ რომელიმე საგნის მსგავსება მეორე ცნობილ საგანთან. აქ-კი ესტრომინი ამას როდი ანიშნავს, არამედ საკუთარს და მუდმივ თვისებას

საგნისას: ამა და ამ საგანს ბევრი უჯრედი აქვს, იგი, მაშასადამე, ბევრუჯრედიანია. ამ გვარაოვე უნდა ვიხმაროთ:

4) ძუძუებიანი — მლეკოპითა იუშია.

5) ხერხმლიანი — პივინი იუშია.

6) შემაერთებელი ქსოვილის მაგიერ, უნდა ვიხმაროთ შემაკავშირებელი ქსოვილი რადგან ეს ქსოვილი, მართლაც, მყიდროთ და მტკიცეთ აქავშირებს და არა აერთებს მხოლოთ: შეერთება ისეც კი შეიძლება, რომ ერთი საგანი მეორეზე დაშორებული იყოს. აქ-კი ასე როდია.

7) სასუნთქავი მილი, სასუნთქავი ყელი.

არც ერთი, არც მეორე გამოსაღევი არ არის. უნდა ვიხმაროთ სასუნთქავი ყია. ეს უკანასკნელი ნამდვილი ქართული სიტყვაა და დიდი ხნიდან ქართულ მწერლობაში ხმარებული. ესვე სიტყვა აღნიშნული აქვთ ს. ს. ორბელიანსაც და ჩუბინოვსაც თვის ლექსიკონებში. ცოცხალი ქართული ენაც ამ სიტყვას ხმარობს ამ გამოთქმით: ყია — მყრალიაო, იტყვის იმ კაცზე, რომელიც ცვლის კიცხავს და არავისზე კარგს არ იტყვის. ამ ნაირათ უნდა ვიხმაროთ

8) საყლაპავი ყია — კუცევი და — ის გამოსათქმელიათ.

9) ერთფენიანი — პლას — ის გამოსათქმელათ არ ვარგა. შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა ფა. ორის, ან რამდენისამე ძაფის ერთათ შეგრებილის შესახებ ვიტყვით: ერთა, ორთა და სხ. ძაფით.

10) უდრევი ელასტიური არ არის. უდრევი ის არის, რომელიც მართოაც არ იდრიკება, არ მოიღუნება. ასეთი საგნის მხოლოთ გადატეხა. თუ შეიძლება და არა მიღუნება — მოღუნვა. ელასტიური — კი ის არის, რომელიც ძალის მიმართულებას მიყვება ხოლმე: საითკენ ძალა ეზიდება, ელასტიური საგნიც იქით გადიღუნება, გადიხება; ძალა გაქრება და ელასტიური საგნიც თვის უშინდელ მდგომარეობას მიიღებს თავის — თავათ. ასეთი საგნის შესახებ ყოვლათ შეუწყნარებელია ვთქვათ, იგი უდრევია, ამეტომ უნდა ვიხმაროთ სიტყვა: მოქნილი. თასმა მოქნილია

ლია, ე. ი. მიმყოლ მომყოლია. ძალზე მოქნილ
თქმას—კი უწყვეტს ვართლებო, ე. ი., იგი
არა წყდება, არამედ ძალის თანსცეცს.

11) სიტყვა კენწხო არ უნდა ვიხმაროთ, რაღდან ეს პროვინციალიზმია. გვაქვს საერთოთ ხმარებული სიტყვა კეფა.

12) ხოჭოს მსგავსი ხდება. ხოჭოს მსგავსი კი არა, ხოჭოს ტანის გარე მოქცეულის მაგარი კანის მსგავსი ხდება. ამ კანს ხოჭოსას—კი ხალხი უშოდებს დოხორებს—XII-თით. ჩემინვის და ს. ს. ორბელიანის ლექსიკონებში ეგ სიტყვა ისეა განმარტებული, თოთქო სადაფის მეოთხებელსა ნიშნავდეს. არ ვიცი, რამდენათ მართლია ესა. ეს კი ნამდვილათ ვიცი, რომ ხალხი, ამ სიტყვით ანიშნავს გველისა, ხელიკისა და ხოჭოთა მაგარ კანს. შესაძლებელია, ამ სიტყვას პირველათ ასეთი შინაარსიც ქონდა. მარა ეს მნიშვნელობა ამ სიტყვას ხალხმა შეუცვალა. ამიტომ ჩვენც ვალდებული ვართ ამ მნიშვნელობით მივიღოთ.

13) ჯონის მაგვარის მაგიერ, უნდა იყოს ჩხილის მაგვარი, რადგან ჯონი ნამეტანი დო- დი რამეთა ამ საცნობის გამოსახატყათ.

14) ხმელ—ძარღვი—ცუჯოჯის პირ-
დაბირი თარგმანია რესულით. ეს კი ხაჭარო
როდი იყო, რაღაც ს. ს. ორბელიანს თვის
ლექსიკონში ნათლათ აქვს ხმარებული სიტ-
ყვა მყესი, რომელიც ზედგამოკრილია ამ
ცნების გამოსახატავთ. გარდა ამისა, ქართუ-
ლათ სრულებით არ ვარგა ხმელძარღვის თქმა.
თუ ძარღვი ხმელია, ცხოველი მაშინ მკვდარია.
თუ ძარღვი ხმელი შეიძლება, ჩანს, ნედლი
ძარღვიც შეიძლება. სწორეთ ცოცხალ ცხო-
ველს ძარღვი ნედლი უნდა ექნეს. ამიტომ,
თუ გავჯიუტდებით და მყეს არ მივიღებთ,
მაშინ ხმელ ძარღვს, ისევ მშრალი ძარღვი
ემჯობინდა.

ახლა გადვიცეთ ს. ნ. ყოფშიმის სტატიაზე: „საუბარი ტვინის შენობისა და ფუნქციების შესახებ“.

15) „ეს ნახატი წარმოადგენს აღამიანის ხელის, ხელი მოღუნულია ითაცყში“. აქ კანაკი

დღია, უნდა ნახმარი იყოს მელავი, და არა
ხელი. ხელი კი არა, მელავი მოიღუნება იდა-
კვშა. რუსული ყველა ჩვენებურ მელავსაც და
ხელსაც უდრის. ხოლო ქართული ხელი - კი
უდრის რუსულს ჩიტერ რუკი.

16) მხარის ძვალი, ე. ი. რუსული ქუ-
чевая кость. გართულით ამ ქუ-
чевая кость — ს ქვია ყველივი. ეს ცხადით ჩანს
ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის განმარტე-
ბირან.

71) წინა მხერის ძვლები — კოსტი ცეცხლის დოზის გასამართლებელი არის მურამის მურამის ძვლები ქვი.

18). რომელიც იწყება მხარის ბეჭის
ძვალზე. დამეონაშებით, ძნელათ მისახვედრი
გამოიქმაა. უნდა იყოს: ბეჭის ძვალზე, ან
მხოლოთ ბეჭზე, მორჩა და გათავდა. რად-
გან აქ ძლიერ არეულ — დარეულია მთელი ეს
ანატომიური ტერმინოლოგია, ამიტომ აქ მო-
კლეა ჩიმოვთვლა ამ ტერმინებს, რომელიც
აღვილათ გამოსათქმელი, ხალხისთვის გასაგები
და მწერლობაში ხმარებული არის.

1) *δηλο*—лопатка

2) *кзшэз*—плечевая кость.

3) **з^ех^об д^эз^ам^о** — лучевая кость.

4) Челюстная kostь.

19) გრძნობის ნიჭი—კი არ ქვეა მას,
რაიც ამ სიტყვით არის ანიშნული ამ სტა-
ტიკაში, არამედ შენების ნიჭი.

ახლა გადავალოთ მუზიკალის შ. ყ. ცეცხლაძის
სტატიაზე: „აღმიანის სქესობრივი ცხოვრება“.

20) სამამო, ისე სადედო, უნდა იყოს:
სამამრო, ისე სადედრო.

21) გერმაფრალიტი ქართულათ აკუმია,
22) ლილი გამოლიადებული თვალები,

უხდა იყოს: დიდი გაძოლიალებული თვალები.

23) ფუტკრების დედას ქართულათ დე-
დო ქვია და არა დედოფალი.

24) ქსესობრივი ლტოლვილება, უნდა იყოს: ქსესობრივი მისწრაფება, ლტოლვილება კი არა ღდეს, რაღვან ლტოლვილება გაშორებას ნიშნავს და არა მისწრაფებას.

ଓକ୍ତୁମ୍ବର ୨୦୧୫ ମାହରେ ପରିବାରକୁ ଆଶାରୀ କାମକାଳୀଙ୍କ ପରିବାରକୁ ଆଶାରୀ କାମକାଳୀଙ୍କ ପରିବାରକୁ

25) მარალიული პრობლემა და მარადიული ცვალებალება (გვ. 37). არც ერთი, არც შეირჩეოს სწორი და მრთალი სიტყვა არ არის, არც კეთილ ხმოვანია. ვგაქვს სიტყვა: სამარადისო და ეს სიტყვა უნდა ვიხმაროთ მხოლოთ.

26) მოქანდაკე გამოკვეთს თიხისა, ან მარმარილოსან შევნიერ ფორმას, თავის თან-შეწონილობით სასიამო ჩატყდელებას, რომ მოახოეს მაყურებელზე (გვ. 77). უნდა იყოს: შეთანწონილებით, რაც უდრის რუსულს რაბის ხეილი — ს. შორის დებული „თან“ უნდა იქნეს მოქცული მეორე შერისდებულისა „შე—სა და სიტყვას შორის. ეს არის კანონიერი წარმოება სიტყვისა, როგორც სხვა ამისთანა სიტვებში: შეთანასწორება, შეთახებება და სხ. გარდა ამისა, უნდა ავნიშნოთ, რომ რუსული სიტყვის — რაბის ხეილი — ვა-მოსათქმელათ მხოლოთ ეს ქართული სიტყვა ერთათერთი სწორი და მართალი: შეთანწონილება. პირდაპირი თარგმანი — კი, როგორც ეს ქნა აწ განსვენებულმა ვლ. ლორთქიფანიძემ (იხ. მისი თარგიანი: საბერძნეთის ისტორია) და ახლაც პატივულებული ვასილი წერე-თელი ხმარობს წონასწორობათ — არ ვარგა.

ამით ვათავებთ ჩვენს გულწრფელ შენიშვნებს. თუ ვანებ ამ ჩემ შენიშვნებს გაიზიარებს და ამათ შემდეგში გამოიყენებს, ჩვენი მოვალეობაც ამით პირნათლათ შესრულებული გვექნება.

იაფ. ფანტავა.

მოგზაურება რაჭა-ლეჩეშვილი.

უკვე მოგახსენეთ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსმა მოთხოვა კელიშის მონასტრის წინამდვარს ცნობები მისდამი რწმუნებულ მონასტრში დაცულ ხელთანწერებზე. მარა აშ მხრივ კელიშის უდაბნო გამონაკლისს არ შეაღენდა. ამნაირივე ცნობები მოთხოვნილ იქნა ცველა, ეკლესია — მონასტრებიდან, არა მარტო იმერეთ — სამეგრელო — გურიაში, არამედ

აღმოსავლეთ საქართველოშიაც. ამის მიზეზი იყო შემდეგი: სამოციან წლებში დაიბადა აზ-რი თფილისის სასულიერო სემინარიაში შემოელოთ ქართულის სწავლება და ამისთვის მაშინდელმა სემინარიის მთავრობაშ აღძრა შუამდოგვლობა ექვსარხოსის წინაშე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი შესწავლა. ამან გამოიწვია სასინოდო კანტორის განკარგულება, რომ ადგილობრივ ლვდელ — მთავრებს შეექმნათ ცნობები იმის თაობაზე, თუ სად რამდენი ხელთანწერი ინახებოდა 1). კანტორის უქაზი ვალად უდგენდა წინამდღვრებს, რომ შეეგდინათ სია მათლამი აწმუნებულ მონასტერ — ეკლესიებში დაცულ ხელთანწერებისა, მათი შესაფერის აღწერილობით 2). ყოვლადსალვდელო გაბრიელი თხოულობდა იმ ცნობებს და თანაც ეკითხებოდა წინამდღვრებს, რომ მათ ეცნობებიათ, რა და რა პირობებით შეეძლოთ მათ გაეგზავნათ ეს ძველი საქართველოს კულტურული ნაშენები: სამუდამოთ დაუთმობდენ სემინარიის, თუ მხოლოდ ცრონებით, რომ, მეცნიერულათ შესწავლის შემდეგ, დაებრუნებიათ მონასტერ — ეკლესიებისთვის 3).

როგორც ხედავთ, გარეგანი მიზანი ხელთანწერების, შემოკებისა სემინარიის წიგნთ საცავში სიმპატიური იყო. მარა საქმეშ სულ სხვა დაგვანახვა. ზოგიერთებმა, განსაკუთრებით ქართლ — კახეთში, პირნათლათ შეასრულეს კანტორის განკარგულება. ხელთანწერები გადასცეს სემინარიის ბიბლიოთეკას 4). მარა სემინარიის მთავრობაშ ნათლათ დაამტკიცა, რომ მას აზ რათაც არ ჰასკულია მათი მეცნიერულათ შესწავლისთვის ეზრუნა და ხელი შეეწყო. გავიდა რამდენიმე ღრო და „1874 წელს ცველა ქართული ხელთანწერები წიგნსაცავიდან განაძევეს და სემინარიის სარდაფებში ჩაყარეს,

1) იმერეთის საეპარქიით კანცელარიის არხივი 1864 წ. (ეპ. გაბრიელის მიწერილობა 29 თებ. № 854).

2) იქვე. უქაზის კანტორიას, № 2583 — 1876 წ.

3) კელიშის მონასტრის არხივი. 1876 წ. (გაბრიელ ცაისყალობის მიწერილობა. 18 დეკ. № 4291)

4) დ. ფურცელაძე ისტორიკო-არქეოლ. Описание Бодбийского собора. გვ. 16—17 თფ, 1888 წ.

საიდანაც ნეშტი გადარჩენილ იქმნა 1883
წელს“ და გადაეცა საეკლესიო მუზეუმს 5).

ამისთვის, შეგვიძლია ვიფიქროთ, თვით
განვება მოქმედებდა, როდესაც მონასტერ—ეკ-
ლესიათა წინაშედვარნი, ნებსით თუ უნებლივთ,
მალავდენ და უარყოფდენ ხელითაწერების არ-
სებობას.

საქართველოს ეკლესიის მმართველნი მე-
XIX საუკუნის განმავლობაში და შემდეგაც თა-
ვის ღვდელმთავრულ მოვალეობას უშეტეს
შემთხვევაში ხედავდენ იმაში, რომ

ბას გადურჩა მხოლოთ რაიმე ნაშტი? ამას, როგორც ზევითაც მოვისხენეთ, ხელს უშენობდა ჩუმი შეუგნებლობა, გადმეტებული გულკეფილობა და სტუმართ მოყვარობა.

დიახ, თვალები უნდა მოვიფშვნოტოთ და გავახილოთ, შეკანოთ ერთეულია კულტურულ ნაშთების შენახვის საჭიროება. ჩვენსას ნურავის დავანებებთ და სხვისაც ნუ ვვინდა. ბრეთელთა გულის წყრომა ამ გამაფნიზლების მაჩვენებელი უნდა იყოს 1)

რა გისაკვირია ამის შემდეგ, თუ აუარებელ კულტურულ ნაშთებთან მეXIX საუკუნის განმავლობაში მტერ-მოყვარეთვან დევნულე-

1) ამ. უკანასკნელ დროს; ბ. გიორგმ გიურაშვილის თქმით, ქართულ საზოგადოებაში ძლიერდება სამშობლოს ყოველის მხრით შესწავლა („საზალხო ფურც. 1914 წ. ან 4“) დიდათ სასიხარულოა ის გარემოებაც რომ ამ ბოლო დროს კურნალ—გაზეთებმაც ამოიღო ხმა შშობლურ კელების ინტერსების დასაცელათ. ამ მხრივ შესანიშნავია „სახ. გაზეთი“ (აწინდელი „სახ. ფურც.“), რომელშიაც მრავალ სტატიებ შეირის ამ წლის აპრილის 29—ში დასტამბული იყო მოწინავე ცხარე და სამართლიანი წერილი („სიხ. გაზ.“ 1914 წ. №I 174).

ტო ჩეენი გამოღვიძება და საეკლესიო თავისუფლების მოთხოვნა დასაგმიბი?! ვროფ. ლებედევის თქმით. ოსმალნი უფრო ღმობიერათ ეპირობოდენ კულტურულ საქრისტიანო ნაშთებს, ვიდრე თვით ბერძნები. სოფ. სლეპის (ბულლარეთი) კელებისაში ყოფილა ხელთნაწერი ხადიკი, რომელსაც ქონია მინაწერი, სადაც ოსმალნი დასახელებულნი არიან ამაირი ეპირეტებით: უსჯულო, საძაგლი, უსამართლო, უუმშაკვრესი მთელ დედმიწანე და უღმრთო. ამ ხელთნაწერის, რომელიც ლანძღვას მოჰელ მაამაღიანობას, მათს სარწმუნოებას და მთავრობას, უცნებლათ არსებობ, 400 წლის განმავლობაში, არქიშ. ანტონინის თქმით, იმის მაჩვენებელია, რომ „ოსმალო არ უშლის სლავურ სოფლებს განაგონ თავითით საქმები, როგორც მათ უნდათ“. ოსმალთა ხელში მყაფ სოფლების ვალესიებში, არამც თუ დარჩენილან ხელთნაწერები, არამეთ, „შემთხვევის დროს კიღევაც გულმოლენით ისავდენ მათ“. ხოლო ამ საოსმალო სოფლებიდან რამდენიმე საათის მანძილზე სამოციან წლებში არქონები დასწევს ორი ურემი ძველი სლაური წიგნები (პროფ. ლებედევი, ხსენ. ოხუწულება ტ. I. 128—129). არქიშ. ანტონინი მოგვითხრობს, რომ ოსმალნი დიდის მზრუნველობით ეპირობიან ქრისტიანულ არქოლოგიურ. ნაშეობებს, რა ღიასებასაც მოკლებული არიან ბერძნები. რუმელიაში მოგზაურობის დროს მას მხოლოთ იქ უნახავს შესანიშნავი საჭრისტიანო სიძველენი, სადაც

ამისთვის თუმცა მე ჩემი თავი არ მიმანია სპეციალისტათ ამ სფეროში, მარა აუკილებელ საჭიროებაზე გამაბედვინა მიმეყონელი რაჭა-ლექსებში დარჩენილ სიძველეთ აღწერისთვის, რომ ის მაინც, რაც დარჩენილა, არ დაკარგიდას ჰერცინებას.

დავიწყებ კელიშის მონასტრის და მასში დარჩენილ სიძველეთა აღწერით?

კელიშის მონასტრი, ანუ უდაბნო, დებარების ქვეში არაში, სოფელ ნიკორწინდის და მის დიდებულ ტაძრის მახლობლათ. ქუთაისიდან კელიშის მონასტრამდე ითვლება ცხვერი. საცხენო გზა იწყება ტყიბულის რკინის გზის სადგურიდან და გადადის ნაქერალის მთაზე, რომელიც ყუდებულია უზარმაზარ კედლივით და შევადგენს საზღვარს ქუთაისის და რაჭის მაზრებისას. ტყიბულიდან ნაქერალის ქედის გადასასვლელამდე მიხვეულ-მოხვეულ შარაგზით 18 ვერსია, ხოლო პირდაპირ მიღოკით არა უმეტეს 8—9 ვერსია. ტყიბული მდებარების ზღვიდან 1120 ფუტის სიმაღლეზე, ნაქერალის გადასასვლელზე კი პანტიუხოვის ოქმით, სიმაღლე უდრის 3997 ფუტს (1). მაშასადამე, ტყიბულიდან ნაქერალამდრი მგზავრს ჭინ უდევს 2877 ფ. ამასრთი. აქედან პირდაპირის გზით ერთ ვერსზე მოდის 500 ფუტამ-

1) აბახის კამიანგარიშებით კი 4785 ფუტი (Д. Бакрадзе. Кавказ въ древнихъ памятникахъ христіанства вѣк. Акты Арх. Ком. V 83).

ტაძრები გადასულან ისმალთა ხელში და ამისთვის მ. ანტონინი, მიუხედავათ თავის ხარისხისა და საზომუნებისა, ზოგჯერ იძულებული ჩდება „უსურებს მამალის სჯულს, მრავალგამოერობა“ (Ghil, ტ. II, ხე2—ხე3). ყველა ამას პროფ. ლებედევი დასქენს, რომ „წმ. სოფიას კონსტანტინოპოლში შეუნახავს თვისი ძველი ელფერი მარტი იმის წყალობით, რომ ის მაჭად II გადაუყოფბა შეჩითად „Ibidem“).

ამით აისხება ის გარემოება, რომ ჩენენ მასალიანის ბატონიაბის ტრიალ ექვსი—შვიდის საჭურნის განმავლობაში გაცილებით ნაკლები დაზიანებაში,

დის, შარა გზით კი 150 ფუტი 2). ამ გზით რაჭაში მიმავალი, დალლილი მგზავრი თითქმის ყოველთვის თავს მოვალეთ სოვლის ნაქერალაზე მოისცენოს და შვენიერი წყაროს წყლით წყურვილი მოიკლას და შებლი გაიგრილოს. ამ აღვილიდან შეენიერი სანახაობა ეშლება მგზავრს თვალშინ, თუ კარგი დარია, რაც ნისლ ბურუსში ხშირათ გახვეულ ნაქერალის მთაგრებილზე იშვაითა. მთელი იმერეთი მისი მდინარეებით, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ცნობილია ოქრიბის სახელით, ისეთ ფულ წარმტაც სანახაობას წარმოადგენს, რომ მგზავრს, მეტადრე თუ მას პირველათ უხდება მგზავრობა ამ გზით, ეძნელება თვალი მოაშოროს მას და განაგრძოს მოგზაურობა.

ნაქერალა ერთი ნაწილია იმ მთაგრეხილი სა, რომელიც სხვა და სხვა აღვილს, სხვა და სხვა სახელშიც დებით არის ცნობილი. ზაგალითად: წმიდა გიორგის მთა, გათხრილი, ნაქერალა, საღორე, გარჯილა, ნაჯიხურევი (3), საწალიკე (4) და სს. ნაჯიხურევი საქართველოს ისტორიაში ცნობილია შით, რომ იმერეთის მეფე გიორგიმ 1709 წ. გადავლო ეს მთა ჯარით და დაბინავდა შაორს, რათა „ანუ დაიყრას, ანუ დაიმორჩილოს“ არა (5). ხალხის თქმით, ნაქერალის მიუღია თავის სახელი იქიდან, რომ ამ მთის კალთებზე ერთ დროს უოსიათ ქერი და, ვითომ, კალთ ყოფილა იმ აღვილის ახლო, სადაც ნაქერალის გადასვლელია. განის აზრით კი, სახელი ნაქერალა იმის მაჩვენებელია, რომ, ვითომ, უწინ აქ ყოფილობის ქურა (горниაკი²). მარა ეს ახსნა მისაღები არ უნდა იყოს,

2) Д-ръ И. И. Пантюховъ. Шаорская котловина и его окрестности Тиф. 1900 №. 83. 11.

3) ჯიხური—ხის კოში (საბა სულხან ორბელიანის ლექსიკონი გვ. 407). აქიდან მეგრული ჯიხა. ამ აღვილზე ჯიხურები ყოფილა (ქ. ცხ. 2. 207) და ამის გამა დარქმევია ნაჯიხურევი.

4) ვარუბის გეოგრაფია. ბროსეს გამოცემა, გვ. 382 და მისვე რექსი იმერეთისა.

1) ქარ. ცხ. 2, 222 (გამოცემა ჩუბინოვისა)

2) გან. „Кавказъ“ 1907 № 125.

რადგან მაშინ ნაქერალია უნდა რქმეოდა.

ნაქერალის გადასავლიდან იწყება დაღ-
მართი და შაორის ვაკემდი ოთხი ვერსი იქ-
ნება. შაორის ველი 300 ფუტით ნაქე-
რალაზე დაბალია და მისი სიგძე სიგანე უდ-
რის 3 X 5 ვერსის. იგი ყოველ მხრიდან შემოს-
ლუდულია ზეკარის მთის კალთებით, ანუ ქე-
დით. აღმოსავლეთ და დასავლეთის მხრით ეს
ქედი უფრო მაღალია. (4347—5537), ვიღ-
რე ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრით
(3900—4225), ³⁾.

იმ ადგილას, სადაც იწყება ნაქერალის
მხრით შაორის ველი, არის ორი პატარა ტბა.
ერთს ქვია ხარის თვალა და მეორეს კი—ძრო-
ხის თვალა. პირველი ძალიან ღრმაა. პანტიუ-
ხოვის თქმით, უნდოფათ გაეზომათ მისი სიღ-
მე, მარა ვერ მოახერხეს, რადგან 30 საჯე-
ნიანი ბაზარიც კი არ ჩასწედა ძირამდის. ეს
ტბა შეადგენს მთის კალთებიდან შეგროვილ
წყაროებს და ერთ წუთში, იმავე პანტიუხოვის
თქმით, იძლევა ორას ვედრამდის წყალს. ⁴⁾
აქედან იწყება მდინარე შაორი, რომელიც
გათქმულია შვენიერი კალმახით. ხარის თვალ-
თან არის რამდენიმე ღუქანი, სადაც მგზავრს
შეუძლია დაისუენოს და საჭმელ—სასმელიც
იშვილოს.

მდინარე შაორი. ნიკორშიდის ახლო
ერთ ადგილზე მდორდება, ტრიალებს და მი-
წაში იკარგება. აქ მას წინ ეღლობება ნიკორში-
ნიდის სიმაღლეები და, რადგან ვერ შოულობს
ბუნებრივ გზას, მდინარე თვით უკლევს მას
მიწის ქვეშ.

შაორის ველი, პანტიუხოვის აზრით, ერთ
ერთ გეოლოგიურ ხანაში წარმოადგენდა ტბას
და წყალი გადაღიოდა იქ, სადაც ქედი, რო-
მელიც მას გარს უელის, უფრო დაბალი იყო
და, რადგან ც ნიკორშინდის მაღლობები უდ-
რის 3920 ფუტს ზღვის დონედან, შაორის
მიმდინარეობას ის მიმართულება არ ექნებოდა,
რომელიც ახლა აქვს. ის გადაღიოდა უფ-

3) პანტიუხოვი. შაორская Котловина გვ. 12.

4) ibid. გვ. 14.

რო აღმოსავლეთისკენ სოფელს სხარტალიან,
საღაც ქედის სიმაღლე უფრის მხოლოდ 3357
ფუტს¹⁾) როდის გაიკვლია შაორშა ახლანდელი
გზა მიწის ქვეშ, არ არის ცნობილი.

ახლაც იშვიათი არ არის შემთხვევა, რო-
დესაც შაორის ველი დროებით გადაიქცევა
ერთ დიდ ტბათ. ეს ხდება მაშინ, როდესაც
ძალიან დიდი წვიმებია და, ან მაღლობებზე
უხავთ მოსული თოვლი უკბათ დნება. უკ-
ბათ მოვარდინილი წყალი ვერ ეტევა იმ ხვრე-
ლებში, სადაც გადის შაორი და გუბდება.
ერთი ამნარი წყალდიდობა მოხდა, როგორც
ამბობენ, 1896 წელს, როდესაც განსაკუთრე-
ბით დიდი თოვლი მოვიდა იმერეთში.

გავლით კიდევ რამდენიმე ას ნაბიჯს და
თვალშინ წარმოგიდებათ დიდებული სანა-
ხაობა ნიკორშინდის ტაძრისა, რომელიც, სპე-
ციალისტთა მოშემობით ²⁾, წარმოადგენს ერთ
საუკეთესო მინუშთაგანს ქართული სახუროთ-
მოძვრო ხელოვნებისას. ნიკორშინდის სო-
ფელი მოვნილია გორაკზე, რომელიც სამასი
ფუტით მაღალია შაორის ველზე, ხოლო ზღვის
დონედან მისი სიმაღლე უდრის 3500—3900
ფუტს.

შეენიჭო მდებარეობა შაორის მიღამოე-
ბისა, იქაური საუკხოვო და ტანმთელობის-
თვის მარკებელი ჰავა ძველის დროიდანვე იქ-
ცევდა იმერეთის მეფეების უურათლებას. მათ,
ვახუშტის მოშემობით, ქონდა აქ „ადგილის
შეკებისთვის“ სასახლე, სადაც ატარებდენ
ზაფხულის თვეებს ³⁾. გულდეშტეტის თქმით,
ეფე სოლომონ I-ის რეზიდენცია იყო სხარ-
ტალში „მახლობლათ ქალაქ ხოტევისა და საე-
პიკოპოსო მონასტრის ნიკორშინდის“ ⁴⁾.

1) idid. გვ. 58 და 59.

2) Brosse Uayage archeoI., Bd XI, 55
Diction Uayage. II, 374—386, ბაქრაძე. ქავკავ-
ებ ძრეს. памятниках христианства. Акты Арх.
Ком. О. გვ. 1064—1065 Уварова графиня.
Материалы по археол. Кавказа, вып. 4, 129 დ
სხვა.

3) ვახუშტის გეოგრაფია „Eeser geogr deea
F. გვ. 84.

4) ბუტკვი. Материалы для нов. истории
Кавказа. ნაწ. 1, გვ. 276,

უეჭველია, სოფ. აგარაშაც, რომელსაც უჭირავს მაღლობები შაორის ველის აღმოსავლეთთ, იმისგან მიღლო თვისი სახელი, რომ ის იყო სააგარაკო ადგილი. ვახუშტიც ამ ადგილებს იხსენიებს „ეკლათ—აგარაკოვნათ“³⁾. აქ არის წყარო მეფეს წყაროთ წოდებული, რომელსაც ხალხის გადმოცემით, სახელი იმისგან დარქმევია, რომ იმდერთის მეფებს ყვაბრებით ამ წყაროს წყალი. მართლაც, თფილისის სამხედრო—სამუნალო ლაბორატორიის ანალიზით, ამ წყაროს წყალი გამოდგა საუცხოვო შემაღევნელობის მექონი და დიდათ მარგებელი⁴⁾. პანტიხოვი იხსენიებს დედოფლის წყაროსაც, რომელიც მეფის წყაროდან ას საჯენის მანძილზე და იმ ნაირივე თვისებისაა, როგორც პირველი⁵⁾.

ნიკორწმინდის ტაძრის ახლო, იქ, საიდანაც იშევებს მდინარე „აგარის ხევი“⁶⁾, ვახუშტი უჩვენებს ეკლესიას, შაორის სახელით⁷⁾. ამ ეკლესის ნანგრევები, როგორც ამპობენ, ახლაუ არის, მარა სამწუხაროთ, ჟე არ მომისხდა მისი ნახვა. პანტიხოვიც უჩვენებს ნიკორწმინდის ახლო ეკლესის ნანგრევებს, რომელიც ყოფილი აშენებული წმ. გიორგის საელზე¹⁾. უადგილო არ იქნება მოვიხენიო, რომ მთაწმიდის ივერიის მონასტრის ერთ ჰერგამენტზე ხელნაწერი გადაწერილია 1002 წელს „შაორის სოფელისა 2) წმ. ღვთის მშობლისასა“ ბაგრატ მეფის ბძნებით²⁾ მარა ეჭვი არ არის, რომ აქ იგულისხმება სხვა შაორი და სხვა ეკლესია, რომელიც იყო თრი-

3) ვახუშტის გეოგრაფია. გვ. 374.

4) პანტიხოვი ხს. იხ. გვ. 15.

5) იქ. იმპ. გვ. 16.

6) ვახუშტის გეოგრაფია 374—6 აქ ვახუშტის ცდება, რადგან შაორის მდინარე აგარის ხევთ აქვს მაღლებული და პირველს სულაც არ იხსენიებს.

7) ibid იხ. იმერეთის რუქ-

1) პანტიხოვი ხს. შრომა გვ. 58.

2) ჩემის აზრით, ეს სიტყვა შეცდომით წაკითხულია, უნდა „საყოფელასა“.

3) პროფ. ა. ასგარევი: Свѣдѣнія о памятниках груз. писменностей вып. I, გვ. 83.

ალეთის მხარეში 4) ნიკორწმინდის და შაორის მიღამოებში ზამთარი იცის ძალიან ცივი, და, პანტიხოვის თქმით, უდრის შვაგულ რუსეთის ჰავას.⁵⁾.

ნიკორწმინდიდან ჭელიშისაკენ მიმავალი გზა გადაღის სოფლის მარტნივ. გაივლით ორიოდე ვერსის მანძილს და დაეშვებით ვიწრო გზით ფრიალო მთის თავდაღმართზე, რომელიც თითქმის ერთი ვერსია. გათავდება თუ არა დაღმართი, თქვენ თვალებს წარმოუდგება დიდი გადმოხურული კლდე, რომლის ძირიდანაც გამოქვეხს მდინარე შაორი, სამ თოხ ვერსის მანძილზე მიწის ქვეშ დენის შემდეგ. ამ კლდიდან დაწყებული შაორი იღებს შარაულას სახელს, ქუხილით მიმართება ვიწრო ხეობაში ჩრდილო—დასავლეთისკენ და ს. ლვარდიასთან თვის მოუსვენარ ზეიროებს უერთებს მდ. რიონს⁶⁾. შარაულას სათავესთან ახლო არის მეორეზე უფრო პატარა მდინარე — „ბინული წყალი“ — ყინულივით ცივი და უერთდევა შარაულას. ეს მდინარე შესდგება იმ წყაროებიდან, რომელიც საქიანას მთის ნელზე იკრიბება ერთად და მიწაში იკარგება. 8—9 ვერსის მანძილზე მიწაში მდინარეობის შემდეგ ამ მთის ძირიდან გამოდის. ის ადგილი, სადაც შაორი შარაულას სახელით გამოდის კლდის ძირიდან, მდებარეობს 3535 ფუტის დონეზე. მასასადაც, ხეობა სადაც მიიკლანება შარაულა 365 ფუტით დაბალია ნიკორწმინდაზე. ამ ღრმა ხეობაში მდებარეობს ჭელიშის უდაბნო. შარაულას სათავიდან მონასტრამდე იქნება თუ ვერსამდინ. გზა მიღის მდინარის პირათ.

არ ვიცით, როდის. ან რის გამო მიიღო ჭელიშის მონასტრებმა თვისი სახელი. შესაძლებელია, ქონდეს რიმე ისტორიული საფულველი იმ თქმილებას, რომელიც ხალხში დარ-

4) ვახუშტის გეოგრაფია გვ. 162 და 470 შედარეთ ი, როსტომაშვილი ახალკალაკის უნდა ვს. არქეოლოგіческомъ отвѣщеніи, თფილის 1898 წ. გვ. 26—27.

5) Мединдційскій еборникъ 1866 №. №2

6) პანტიხოვი ხსენ. შრომა გვ. 19

ჩენილა და ოომელიც მე გამიგონია აღგილობრივ ბერებისგან — ოომ მონასტრები მიიღო თვის სახელი ერთი ვიღაც ჭელიძისგან, ოომელისაც ვითომ ის დაუარსებია. ხალხში ჭელიშის მონასტრი ამ მხრივ გამონაკლის არ შეადგენს. საქართველოში ძევილი დროიდანვე მიღებული იყო უდაბნოებათ წადება მონასტრებისა. იმნაირი ღიღებული მონასტრებიც კი, ოომორიც არიან გელათის¹⁾, ოპიზა²⁾ და სხ. ატარებდენ უდაბნოს სახელს. ასეთი სახელი მაშინდელ მონასტრებს კიდევ ვაც შეეფერებოდა. ეს წარმოდგა იქიდან, ოომ ძევლ ქართველ მოღვაწებს ჩვეულებათ ქონდათ სამონასტროთ აერჩიათ იმნაირი აღგილი, ოომლის ახლო მოსახლობა არ იყო ტერმინი „დაბა“ ნიშავდა აღგილს ოომელიც დასახელებული, ანუ კაცის ხელით დამუშავებული იყო, უდაბნო კი — დაუმუშავებდელს ოომელისაც ჯერ კაცის ხელი არ შეხებია³⁾ ამნაირი იყო ის აღგილიც შარაულას ორმა ხეობაში, სადაც ძევლ მოღვაწებს დაუარსებიათ ჭელიშის მონასტრი.

მონასტრის ეკლესია სახუროთ — მოძღვრონ ხელოვნების მხრივ არ არის რითომე შესანიშნავი. ის წარმოადგენს უბრალო ბაზილიკას აშენებულია თლილის ქვისგან, გარედან შელისილია კირით. ეკლესია სიგრძით $18\frac{3}{4}$ არშინია, სიგრძით კი $11\frac{3}{4}$ არშინი. ტრაპეზი ქვისაა, სამკეთლო კი მოკეთლილია კედელში, ხის კანკელი დადგმულია 1850 წ. მონასტრის წინიმდღრის არქიმანდ. იოანეს. (იოსელიანი) დროს⁴⁾.

„ქარ. ცხოვრება“ „მდუმარებს ჭელიშის მონასტრის წარსულზე. არც ბატონიშვილი ვახუშტი, ოომელიც თავის გოგრაფიაში და მისგან შედგენილ იმერეთია რუქაში იხსენიებს შაორის ახლო-მახლო მდებარე ეკლესიებს, — არას გვეუბნება ამ მონასტრზე. ამნაირი სიძუნწეს იჩენენ ახენენ ახალ დროის ისტორიკოსები და

1) თ. ეროდანია. ქრონიკები ნაწ. 1, 144,

2) ქრთ. ცხ. 1, 404.

3) ი. ჯავასიშვილი. ისტორია. ტრი არ. ეროდანია. ქრთ. ცხ. 1, 47.

4) იხ. ჭელიშის მონასტრის სააქმეები 1850 წ.

სიძველეთა მკლევარნი. რაჭა სამეცნიერო მიზნით დაუვლიათ და დაუთვალისწილებიათ გამას¹⁾, ღიუბუა დემონპრეს²⁾, აკადემიკოს როსეს (1848 წ.). კონდაკოვს, ბაქრაძეს 1889 წ.) და გრაფინია უვაროვესისას, მარა ჭელიშზე არც ერთი მათგანი ხმას არ იღებს, თითქმი პირი ჟუკავთო.

ავად. გრისე რაჭაში იყო 1848 წელს. დაათვალიერა და იღწერა არამც თუ ნიკორწმინდა, ხორევი, ამბროლაური და სხვა სოფლების სიძველენი, არამედ ის გამოქვაბული — საყინულეც კი ა), რომელიც მდებარეობს ჭელიშიდან ორი ვერსის მანძილზე, ხოლო ჭელიშის ნახვა არ მოსურვებია. ამნაირიც ბედი ეწვია ჭელიშის მონასტრის სიძველეთ სხვა არქეოლოგების მოგზაურობის დროსაც რაკის მხარეში, თუმცა ჭელიშის წინაშედვარნი მოლოდინში ყოფილან მათ ქონდათ სათანადო მთავრობის მოწერილობა, რომ მიეღოთ მეცნიერნი მონასტრებში და იქ დაცული სიძველენი ეჩვენებიათ. 4). ბაქრაძე თვისი საქართველოს ძევლ ეკლესია-მონასტერთა აღწერილობაში ა), მას სულაც არ ისხენი ებს. მიზეზი იმ საკვირველ მოვლენისა ის უნდა ყოფილიყო რომ ჭელიშის ეკლესია, ოომორიც არა მეონე არჩიტეტტულ მნიშვნელობისა, არ იზიდავდა მკლევართა ყურათლებას და, ამის გამო, მასში დაცული სიძველენი და ხელონაწერები, რჩებოდენ აღწერელი. ეს რომ ასე

1) გამბას რაჭაში უმოგზაურნია 1820—1824 წლებში.

2) ღიუბუას მოგზაურობა მოხდა 1830 წ.

3) Wayage archeo!opiqne Par. XII, 54—59

4) მიტროპოლიტი დავითი (წერეთვლი,) 10 სელ. 1847 წ. № 890—თ, უბრანებდა ჭელიშის უდაბნოს წინამდგრადს არქიმ. იოანეს (ოისელიანი) მიეღო აკადემიკოსი ბროსე და მიეცა მისთვის ნება ჭელიშის სიძველეთა დათვარიელებისა (ჭელიშის მონასტრის არქივი 1847 წ.). 1888 წლმს 5 აგვისტოს № 1977-თა ამ ნერივე პარმანებას უგზევნის ეპის. გაბრიელი ჭელიშის წინამდგრადს კონდაკოვის და ბაქრაძის მიღების თაობაზე მონასტრის სიძველეთა დასათვალიერებლათ მონასტრის არქივი. 1889 წლისა.

5) ბაქრაძის შრომა; კავკავ ვъ деревниихъ митникахъ христианства.

არ მოხდარიყო, ბევრი რამ ამ მონასტრის სი-
ძელებაზე არ დაეკარგებოდა მეცნიე-
რებას.

არ არის ცნობილი, როდის დაასრდა ამ ადგილში მონაზნობრივი ცხოვრება, თუმცა, ზოგიერთ მოსაზრებათა და საბუთათ მიხედვით, შეგვიძლია ვიფაქროთ, რომ ეს უნდა მომხდარიყო ძალიან ადრე, არა უკვენიანეს შე XII საუკუნისა. კელიშის ღრმა ხეობა, რომელიც შარაულას მიხვევ მოხვევით მიმდინარეობის გამო ყოველის მხრით შემოზღუდულია მაღალის მთებით, თითქმ საგანგებოთ გაუჩენია ბუნებას სამონაზნო მოღვაწეობისთვის ამ ადგილს ძნელათ მიუდგება კაცი, თუ გულდაგული იქ არ მიდის. ადგილ-მდებარეობა კელიშის უდანოს მაღამოებისა ძალა უნდა უჩრაო მიაქცევინებს კაცს ყურათლებას თვისი შინაგან სულიერ ცხოვრებაზე, მის კრიტიკულ განხილვაზე. საფიქრებელია, რომ ამნაირი ცხოვრება-მოღვაწეობის მოსურნენი ძალიან ადრე მიაქცევენ მას ყურათლებას.

ამბერი.

đến 10 giờ

აკაკი, როგორც დღეი ერთვნული მეო-
სანი,

გიმაზიაში რომ შეიყვანეს კაკო, კლა-
სში, კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ციფრები
იყო ჩამოკიდებული; ზედ ანგანი და მოსალე-
ბი ეწერა და იმას აკითხებდენ ქადაგილებს.
ჯგუფს ერთი უფროსი ყავდა და ის ასწავლი-
და: ხელში ეჭირა წკეპელა და, შეემლებოდა,
თუ არა ბავშვს კითხვა, უკრუნებდა და უცხუ-
ნებდა. კაკო შესკლისთანავე პირველ კედელ-
თან დააყენეს „ანბანზე“, მარა, რაღაც ხუ-
ცური იციდა, რუსულ მოსალებშიაც გასწნი-
ლი ქნადა თვალი დედამისის წყალობით, ერთ
დღეს შემოირბინა ცველა კლასები. მასწავლე-
ბელმა თავზე ხელი გადასტეა, მოუწონა და
უფროსებთან დასვა სკამზე. კითხვით კარგათ
კითხულობდა, მარა უბედურობა ის იყო, რომ

რუსული არ ესმოდა. „იმ დროს შემოლებული იყო საზოგადოთ თუნუქის ფირფიტა, რომელ-საც „მარკას“ ეძახდენ, ვინც ქართულათ ხმას ამოიღებდა, მისჩემდებულ ხელში და თანაც გძელ ფიცარს— სახაზავს დაკავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვი-სთვის გადაეცა როგორმე იმ რიგათვე, ე. ი., ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარათ საცოდაობის ფირფიტა გა-დადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავე-ბის დროს, ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფარფი-ტის თავიდან მოშორებას და შეჩებოდა ხელ-ში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით, უსადილოთ. ვინც რუსული არ იცოდა, ახა-ლი შემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩეცულებას დადი გამრუყვნელი ხასიათი ქონდა: ყმაწვილე-ბი ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუ-ბიათ, გაეგბრიყვებიათ როგორმე და ცბიერო-ბა— ფარისევლობას ეჩეოდენ. ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ ჩოვიდა ჩემთან ერ-თი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქო-ნე, და ტებილის ლიმილით, მეგობრულათ მკითხა არადაც ქართულათ. მეც, რასაკვირვე-ლია, რაფგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართუ-ლია ვეუბასუხე. ყმაწვილს შშვილობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხართულით მომაჩერა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონ-და, მარა „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. რა გენალვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ და-ვირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს— მეტქი, ვეხევწებოდი. ჩემმა მოწინაღმდეგი შორს დაიპირა: მე თუ დამარტყეს, შენ რა კრელი პეპელა ხარის?! მე მაინც არ დავეთანხმე, გა-უმაღლდი და იმან ჭავშინი დაიწყო. მასწავ-ლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეჭ-და. დამიძახეს. გავედი შიშითა და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და დამეკითხა: როგორ ბედავ ურჩიბასო? აქ შენი სახლი ხომ არა გვიხია! მე თავის გამართლება დავიწყე, მარა აღარ გამივიდა! კარგი, მე გას-წავლა ჭკუასო! დაუძახა „სტოროუებს“ და უბრძანა „როზგიო!“ „იმის გამგონეს, თავში

სისხლი ამიგარდა და გაქცევა დავაპირე—ნუ გაუშვებოთ, დაიჭირეთო!—უყვირა მასწავლებელმა. იგრილეს მოსწავლეებმა ჩემ დასტერათ და გადამეღაბენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, საღაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოი მოვახდინე. მარა შევტო ფანჯარაზე, გავამტკრიც მინები, გაღავხტი და მოვურცხლე შინისკენ. გამომიღები. წინ მე გავრბოდი კურდლელივით და უკან ისინი მომდევნენ კაუნია. გულგახეთქილი შევიჭრი შინ. დედ—მამამ რომ გაიგხს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წალი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენს თავზე ხომ არ არის—ყველას როზგენო. მოითმინე, მოიგირვე, მიეჩივ და, ბოლოს, კაცი გამოხვალო; მაგათში უიმისით არ შეიძლებაო!.. მარა მე შორს დავიკირე და გამოტებილი ვუთხარი დედას: —თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქუვა გიმნაზიაში, თავს დავხერხობ —მეთქი. შეშინდენ და ჩამომეთხოვენ. ერთ კვირას ალარწავლვარ კლასში. იმ დროს დირექტორათ კოცებუ იყო, ახალი დინიშნული. ქართული მაზრის უფროსობის დროს შეესწავლა, კარგათ იყოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავათ მოვახსნე, რაც გადამხდა და, რასც ვგრძნობდი. გაუკვირდა, გაღაიქნია თავი, მომეფერა და მითხრა: შენ ჩემი სახელი ახსენე და ნუღარავისი გეშინია! ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ კანცელარიაში, წაგიყვან კლასშით. მეორე დღეს, მართლაც, წმიდანა და მიმიყვანა ჩვენს კლასში. გამრიაკელია ყველაფერი და „მარკის“ ამბავი რომ გაიგო, მოხმო ინსპეკტორი, ზედამხვედელები, მასწავლებლები და გამოუცხადა ზველის, რომ დღეიდან ეგ საქცილი აღარ ჩაიდონოთ, მოსპეც „მარკა“ და უმიზებოთ ცემა—ტყეპაზედაც ხელი აიღეთო. მერე მიუბრუნდა ჩემ მასწავლებლებს და უთხრა: —განსაკუთრებით ყურაობება მიაქციეთ იმ ყმაშვილს! მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირფიტია გადააგდეს. მარა ცემა—ტყეპაზე კი უცბათ ვერ აიღეს ხელი. უიმისობა მაინც არ ხერხებოდათ.

ამ ამბიდან მეტხველი ნათლათ დაინახავს, თუ რა დიდი უზომო უბედურობა იყო გამეფებული მამინდელ სასწავლებელში, რომლის შიშიო გულგახეობილი სამოხასი შვილი პატარა კაკო სრულიათ გონებას კარგავს, ერთს უშველებელს აღიაქოს ასტეს გიმნაზიაში, რომლის აღზრდის რისტემას, სულ ადვილათ შესაძლებელი იყო, სრულიათ შეეწირა ეს იშვიათი, არა ჩეცულებრივი არსება და იგი სტოვებს. ..გიმნაზიას. დედ მამას შვილი გადაწრით ეუბნება, თუ იქ გამიშვებთ კიდევ, მიუკილებლად, თავს დავიხილობა... რომ ისე—თი ქართველების მოყვარული დირექტორი არ ყოფილიყო, როგორც კოცებუ იყო, რომელიც პორტის დედ—მამას ძალიან კარგათ ცნობდა და ყმაშვილი მას მოფერებითა და დაყვავებით არ წაეყვანა ისევ გიმნაზიაში, ხომ ჩვენი ლიტერატურა და ქართველობაც ვეღარ იხილავდა ასე შარავანდებდით მოსილს აკავის... თბი, რაოდენ მწარე ფიქრსა და აზრებს იწვევს მარტო ეს ერთადერთი ამბავი გამწარებული ქართველის თავში! მარა აკავი ისნა იმ გარემოებას, რომ იმის მამის, ქველი რომ—ტომ წერეთლის ოჯახობას იცნობდენ ქუთაისში ძალიან კარგათ დირექტორებიც, გუბერნატორებიც... რაოდენი იქნებოდა გიმნაზიაში ისეთი უბრალო აზნაურიშვილი, ან სხვა ვინმე ვიგინდარა ყმაშვილი რომელსაც, თუმცა აკავითანა უდიდესი ზომის და ღირსების ნიჟი არ ექნებოდა და მაშინდელ გიმნაზიის ანორმალურ ცხოვრებას უზრობელათ მოუსპია, წარუხოცია და უბედური ჩვენი ქვერისთვის წაუგლეჯია სასაჩიგილო, მშრომელი შვილი...

კაკოს, როგორც იყო, ატოლა ტანჯვად ერთხელ მეტი არ გალახულა. მარა ეს ერთიც საკითხი იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯაო.

კაკოს გალახების ამბავი დირექტორმა გაიგო და შენიშვნა მისცა. მასწავლებელს, რომელიც, ამის გამო ყმაშვილს ძალიან ჩაიმტერა და ყურაობებასაც არ აქციებდა, თითქმ ერთი ჯირკა გდებული იყო კლასში. ეგზამენების დრო მოახლოვდა, ქუთაისის გიმნაზიას ესტუმ-

რა „პოპერეტელის“ თანაშემწე, მაქსიმოვიჩი, რომლის შიშით სულ კანკალი ქონდათ ავარ-დნილი მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც. გამნაზიის მაღალი კლასების მოსწავლეები და მასწავლებლნიც იხსნა, აკაკის თქმით, ერთმა შესანიშნავა და სახელ გათქმულმა ახალგაზ-დამ—ბესარიონ ლალაბერიძემ. შეუა კლასებშიაც ზოგიერთებმა გვარიანათ მოუგდეს. უმცროს კლა-სკებში, ჯერი რომ კაკოს კლასზე მიდგა, ხამი მოწაფე იყვანეს და ჩააყენეს თორნეში. მესა-ზე მოწაფე კაკოც მიაყოლეს. და კაკოს ცო-ცხალმა, საოცარმა ნიჭმა ერთბაშათ იხსნა მას-წავლებლნიც და მოსწავლენიც... ხელი ჩამ-ართვა მასწავლებელს და მაღლობაც უთხრა. ჩვენს კაკოს გახალისებულმა მაქსიმოვიჩმა შუბლზე აკოცა და დაიშალა კლასიც.

„მივიყრინდი, თუ ფეხით მივედი სახლში, ალარ მახლოეს, სიხარულმა ისე მიტაცა, რომ მივედი, სტუმრები იყვენ სახლში და მმაჩრება მომაძახა: რა ქენი, ჩემო კატუა? მეც ყველა-ფერი მოვახსნე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვისული!?! წამოიძახა მამიჩ, -კუიც ყოველთვის გვარზე მიდის ა. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბაეშობისას, ყველას ვჯობდით. რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდენ, მე ორ სამწელიწადს გავიარე, გავათავე ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ლეილრაფია და სხვანიო. ბაჟებმა ამ დამა-ცალეს, ყიყინით მაწუხებდენ, თვარა, რომ მო-მეცადა არისტოტელის კათელორიასა და ლო-ლიკასაც ბდელირს ავადენდიო. შენც, შვი-ლო, ოჯახის შეილი რომ ხარ, სხვებზე უფ-რო შეტი უნდა ისწავლონ და ვიგინდარები არ გაიტოლოვო!“ სტუმრებშიც ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთვის იჯდა თავჩაღუნული, თითქ ამისთვის სულერთიან და არც კი შეუმჩნევივარ. საღამოს, დასაძინე-ბლათ რომ ჩავწერ ლოგინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადგა ხელი, ჩამოჯდა ლოგინ-ზე. მე ვიზუქრე, ვაი, თუ ავათ ვარ და მა-ცყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი. წინათაც მითქვამს და აზლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზე სჭირდა დე-

დას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა საღვე დიდი ხნით მივღიოდი და, ან ხან-გრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკო-ცებდა ბავშებს, და მაშინც, ისე თითქმ გუ-ლი ნებას არ აძლევს. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეცსა. ეს ხასიათი მთელ მის სიცო-ცხლეში შერჩა. შვილი-შვილებსაც ასე ეპყრო-ბოდა. ერთხელ, დაცულ-შვილიანებული ვიყავი. შევვიწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს, მიღომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვი-ძოსო, პკოცნიდა და ეალერსებოდა. მაშინ მიიხვდი, რომ, ალბათ ჩვენც, ასე გვეალერსე-ბოდა-მეთქი. ცხადათ ვინ უშლიდაო, იფიქ-რებს კაცი, და ის, თურმე, იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გმრაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუქებს ყმაშვილს და წარა-მარა კუცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოო, ეს მართა-ლი, თუ არა, მარა ჩემ თავზე, როგორც გამოვცადე, მისი კუცნა რაღაც სასუჯევლურ ნეტარებათ მიმაჩნდა. იმ საღამოს ავფინიცნდი რომ გრვედში მომიჯდა და ალერსინათ მით-ხრა: ხომ ილოცეო?¹

— როგორ არა-მეთქი!

— დღეს დილას, სანამ კლასში წავიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია?

— როგორ დამაციწყდებოდა!.. და, მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივიღოდი.

— ჰო, კიდეც მიტომ უსსნი-სარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერთოს, რაც უნდა იცოდე, მანც ვერას გააწყობ? მამაშენმა, რაც გითხრა დღეს, მართალი კი ნუ გონია, იმან ასე იცის ხუმრობა.

— რა?

— რა და სხვებმა რომ გაჯობოს სირცხვა-ლიაო. აბა, სხვები რომ კარები იყონ შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არას, როცა შენ შენ დათავა არ ვარგხარ და არ ციილობ. სწავლაში შენ. სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე! შენ საულიათ შენთვის უნდა ცლილიბზე ყო-ველგვარ სიკარგზე და, თუ სხვებიც შენისთა-ნები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ მითი რას დაკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს

მათი სიკეთე. შენ რომ კარგათ დაგიჭირია დღეს ეგზამენი, აი, რა კარგ გუნდებაზე ხარ. ისანი კი, შენი ამხანავები, ვინ იცის რა გულ-დაწყვეტილები არიან!

— ტიროლენ, დედა!..

— მერე არ შეგეცოდა?

— შემეცოდა კიარა, კინალამ. მეც ვიტი-რე...

— ჰო და, იმათაც რომ შენსავით გაემარ-ჯვათ, ხომ გიამებოდა?

— ნეტავი მართლა!..

ჰო, შეილო! სხვისი შერი და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა ..

გათავდა ეგზამენები. მაქსიმოვიჩიც წავიდა. ჩვენი კაკო პირველი საჩუქრით გადაიყვა-ნეს შეორე კლასში, სულ სხვა თვალით მიყუ-რებდენ ამხანავებიცა და უფროსებიცო. ამას მე კარგათ ვხედავდი და ვცდილობდი, რომ არ შევრცხენილიყვავ. დღე და ოპერე გაერთიებუ-ლი მქონდა, ისე მონდომით ვსწავლობდი და იშ შრომასთან და ცოტა ნიჭითანაც, რომ უკე-თესი პატრიონბა მქონდა და უფრო სწორე გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოვიდოდ იმ... აქ ბევრ საინტერესო ამბებთან ერთად, აკაკი მოგვითხრობს ფისიოლოგებისა და პედაგოგთა თვის ფრით საგულისხმო ამბავს ერთი მოწაფის, გვარათ გაბაშვილის შესახებ, მარა იგი უნდა გამოვტოვო, რადგან პირდაპირი კავშირი არა აქვს ჩემს სტატიასთან.

უველაზე უფრო საყვარელი მოძღვარი კაკოსი იყო ტროე, რომელიც ოთხ კლასამდე ასწავლიდა; უფროს კლასებში ნება აღარ ქონ-და, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი არ ქონდა გათავებული, თუ კი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში, და მის შემდეგ იმ უფ-როს კლასებში, მეოთხედან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შეგვიძნია რა. მეოთხე კლასი მეტათ ძნელი კლასი იყო. სულ ახალ — ახალი საგნები და მასწავლებლები: ის-ტორია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბატა-ნიკა, ზოოლოგია, ლათინური, სჯულის კა-ნონი, მეურნიბა, მინერალოგია და სხვადასხვა სულ ერთად მოყარეს. თავტანის რომ აღარა

გაგვევებოდა გავუსვით ზეპირობას ხელი, და როგორც იქნა, კიდევ იოლათ გავდიოდით, თუმცა სრულიალაც არა გვესმოდა რა იმ სა-გნების. სხვისი რა მოგახსენოთ და მე კი ასე ვიყავი, თუმცა პირველ მოწაფეთაც კი ვირი-ცხბოდი და ოქროს ფიცარზე ვეწერე. ამ მა-ლილ კლასშიც, ცოტა არ იყოს, დავთარი შე-მეშალა. ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავ-ლებელი დაგვინიშნეს. გვარათ საპეგა. იმისთა-ნა ახირებული კაკო ძვირი იყო! სულ ჯავრო-ბდა რაღაცაზე, ჩამოუტიროდა და სხვაც რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა. მე კი ჩემდა საუბედუროთ, ისეთი მომცინარი სა-ხე მქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღი-მებოდა! ამითვილწუნა ამ კაცმა და საშველე-აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელ-ზე გადამსვა: თვალში ნუ მეჩხირებიო! ერთ-ხელ რაღაც კაი გუნებაზე იყო, გამიყვნა და მყითხა გაეკეთილი. კარგათ მიუუგე. მომიწო-ნა: ცოდნით კარგათ იციო, მარა რა მიზე-ზია, რომ სულ იღიმებით? ნუ იცინი „პირუ-ტყვიითო!“ მე მეგონა მცდის — მეოქი და ვუ-პასუხე: პირუტყვები არ იღიმენიან და არც იცინიან — მეოქი. ეს რომ ვუთხარი, წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში და დამიძხა: „გარეთ!...“ პატარა კაკო რომ ასე მახვილათ სკრის თვის უნაჭო მასწავლებელს, რომელმაც არც-კი იცის, რას რომას, იგი უნიჭერეს მოწა-ფეს გადემტერება ტყვილა უბრალოთ და ხი-ცოცხლეს უმწარებს ამ ყოვლათ შევნიერს სამოთხის შეილს. ამ ვაუბატონმა მასწავლებელ მა ერთ მოწაფეს ცხვირ-პირი დაფაზე მიახლე-ვინა, ცხვირში სისხლი აღინა და სწორეთ ამ დროს შეესწრო დირექტორი და საპეგაც გაძ-ქრა ქუთაისის არ-მარედან. მის მაგიერათ და-ნიშნეს-პანიზოვსკი, რომელიც უბანებდა მო-წაფეებს: აქედან აქამდის გაეზეპირათ და ასე აცოდვილებდა ყმაწვილებს.

(შემდეგი იქნება:)

ახლო ადმინისტრაციი.

15 საუკუნის დასასრულს თათართა (მონგოლების) ბატონობა რუსეთში მოისპო დაიდა მთავარმა და „თეითმპრობელში“ იმფანე III ოცის სამეცნის სიმბოლოთ აირჩია ქველი, აწ უკვე დაღუშული ბიზანტიის ლიმპერიის ლერძი თრთავიანი არწივი, რომ იც საშვარს გაფარიცებით ერიშ ლრივე მხარეზე: აღმოსავლეთისევნაც და დასივლე თისევნაც. ამ დროს დაბნელებული რუსეთი ნამდვილ აზიურ ქვეყანას წარმოადგნდა. ეს როპული მას სრულიათ არაფერი ეცხო და მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, სახელდობრ, 1571 წ. ყირიმის თაორებში სულეითიანა მოსრისეს იგი, შეიქრენ და რისხეით ქვეყნის შუაგულში, დასწვეს სრულიად მოსკოვი და ტყვეთ წარყვანეს 100000 სული. ამ დროს რუსეთში მეფობდა იმანე 4 „გროზნათ“ წოდებული. ამ მეფის დროს ერმაკმა ცაშირი დაიპრო და მოსკოვის ტახტს უფეშაშა.

1631 წელს 21 თებერვალის „ზემსკი სობორობ“ ქალაქ მოსკოვში მეფეთ აირჩია მიხაილ თევდორესე რომანოვი. რომანოვების შესახებ რუსეთის სახელმოვანი მემორანული ილექსანდრე პუშკინი თვის ნაწარმოებში „Борисъ Годуновъ“ მმამბ: Романовы — Отечества надежда“ ო, დამართალსაც მმამბს. რომანოვების ხელმწიფობის დროს რუსეთი ძალიან, თითქმის საარაყოთ გაიზარდა და დღეს უზი პირველ ხარისხვან დიდ იმპერიათ არის საქვეყნოთ ცნობილი,

მიხაილის შეილის აღექსეის მეფობის დროს მთელი უკრაინა (მალორისია) რუსეთს თვისი ნებით შეუერთდა და უკრაინის და ზაპარიუთა კაზაკობაშ ფიცი მიიღო მოსკოვის შეფუის ტახტის ერთგულობაზე. ამიერიდან შეფუმ, აღექსეი მიხაილის ძემ ბრძანება გასცა, რომ მისი ტიტული უნდა ყოფილიყო: „Государь всемя Великии и малыи Русии“.

ამ ისტორიულმა ამბავმა, ე-ი., მთელი

უკრაინის მოსკოვის ტახტის ერთგულობაზე ფაცის მიღებამ, ძალიან დიდი ომი გამოიწვია პოლონეთისა და რუსეთს შორის. მარა ამის ისტორიის აქ იღვილი არ იქნა, რადგან იგი ჩვენი სტატიის საგანს დაგვაშორებდა.

აღექსეი მიხაილის ძეს შემდეგ, რუსეთში გამზიდა მისი უფროსი ვაჟი — თევდორე ალექსისძე, მარა მან ცოტახანი იკოუზლა და უშვილოდაც გარდაიცვალა. მის შემდეგ, რუსეთის ტახტზე ავიდა უნცროსი შეილი აღექსი მეფისა — პეტრე აღექსისძე, რომელმაც განაძლიერა და განაახლა რუსეთი და ამისათვის მას უწოდეს პეტრე დიდი.

პეტრე დიდის ხელმწიფობის დროს რუსეთს ევროპული ფერი მიეცა და აღინიშნა კიდეც რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის უაღრესი, ერთი დიდი, უპირატესი საგანი. ეს დიდი საგანი იყო ძველი ბიზანტის საქრისტიანო ძვეუნის სატახტო ქალაქის-კონსტანტინოპოლის დაპირობადა სრულიათ მართლაც დადგენ ძელი იკლესის დაცვა მთელ დიდაშიშის უფრგბე.

და, ი, მთელი ბალკანეთის სლავიანთა, ბერძენთა და რუსთა გაცნობა და დაახლოვებაც სწორეთ აქდან იწყება. პეტრე დიდმა აღმოაჩინა შავმთიელნი და ისინი ჩაითრია ერთ ომუი, რასაც იმათი მთლათ ამოწყვეტა მოყავ. შავმთიელეთი ერთი მწირი ქვეყანაა, ცალიერებრიოკი მთებისა და ვორებისგან შედგება და მცხოვრებლები საქონლის მოშენებას მისდევენ. მარა დიდი ვაჟა ცეცი და მამაცნი კი არიან. პეტრე დიდმა დაიბარა ამათი მთავარი, დაასაჩუქრა დიდათ და „პოსობიეული“ დაუნიშნა. მას აქეთ შავმთიელნი დღესაც ამ „პოსობიეული“ რუსეთის ხაზინიდნ დებულობდნ.

ეკატირინე II ხელმწიფობის დროს რუსეთსა და სამალეთს შორის უკვე მოხთა თრი დიდი ომი. საბაბი პირველი ომისა შემდეგი გარემოება იყო. ეკატირინე II პოლონეთში ჯარები გაგზავნა, რომ პოლონეთის თავადაზაურობის (პანგები) და კსენიდზებისგან დაეტარა მართლმადიდებელნი. საფრანგეთი იმ დროს რუსეთის დაუმინებელი მცერი იყო

და გულით შის დასუსტებას ძლიერ ცდილობდა. ამიტომაც, პოლონეთის დასახმარებლად რუსეთის წინააღმდეგ აამხედრა მან ოსვალდთი. ომალეთი ამ ომში საშინაო დამარცხდა: 1771 წელს მდინარე კაგულთან რუმინუ-ზა-ზალენისკიმ ურიცხვი ისმალეთის ჯარის კაცი გაგლიტა და ზღვაშიაც რუსეთმა გაიმარჯვა. ომალეთის ამაყი ბაძანებელი ხვანთქარი იძულებული იქნა შერივებოდა რუსეთი და სოფელს კაინარჯოში 1774 წელს მოპირდაპირებმა ზავი შეკრეს. რუსეთმა მიიკრა მდინარე დნეპრის და დონის ქვემო, ზღის პირას მდებარე მდიდარი მიწა—წყალი, ციხეები კინბურნი, აზოვი ქერჩი და სს. ყირიმის, ყუბანის და სს. თაროები ისმალეთის ბატონობისგან გათავისუფლდენ და დამრუკიდებელნი შეიქნენ რუსის სავაჭრო გერმებსაც თავისუფალი გხა, გასვლის ნება მიეცათ ბოსფორსა და დარდანელით ხმელთაშვა ზღვაში.

ამ დროსვე რუსეთმა წაართვა ისმალეთს მთელი ახლანდელი ნოვოროსია, ეკატერინოსლავი, ხერსონი, ნეკოტევი, მთლათ აღესის მიდამოები და სს. ნოვორასის გენერალ-გუბერნატორმა პოტეშკინმა, რომელსაც დიდი, ვანუსაზღვრული ნლობა ქონდა ღამისახურებული ეკატერინე II ხან შიშით და მუქარებით, ხან კი ტებილი სიტყვებით, დაყვავებით, ფულების და ორდენების დასაჩუქრებით მიაღწია მიზანს და უკანასკნელი ყირიმის სამეფოს ბძანებელი დაითანხმა და 1783 წელს თვისი სამეფო მან რუსეთს უფეშაში. ეკატერინე მეორემ აქ, ამ ყირიმის სამეფოში მაშინვე ჩვეულებრივი გუბერნია, სახელმობრ. „ტავრიჩესკი გუბერნია“ დარსა, გააშენა ქალაქი სეკასტოპოლი და ამიტომან იქ ჩაიგარა საძირკვლით რუსეთის შავიზღვის ფლოტს. ასეთი დიდი საქმეებისთვის, ე. ი., ნოვოროსიის მხრისა და მთელი ყირიმის შემოერთებისა და მისიარე-მარის აყვავებისთვის ეკატერინე II პატემკინს მიუბონა ტიტული „წნიაზი ტავრიჩესკისა“.

პატიომკინი იქამდისაც კი მივიღა, რომ აცნებობდა ისმალების სრულიათ განდევნას

ეკროპის ხმელეთიდან და, ასე გაშინჯეთ, კონსტანტინოპოლის აღებასაც... მარა ინგლის-სა და საფრანგეთს სრულიადაც არ უნდოდათ ისმალეთის დალუპვა და ამით მთელი ისმალეთი ამზედრეს რუსეთის წინააღმდეგ და აღუთქვეს მას დიდი დახმარება და შემწეობაც. ამ რიგათ, დაიწყო მეორე რუსეთ-ისმალეთის ომი. რომელშიც საქართველოს მეფეთა-მეფეები ირაკლი 2-მ მიიღო დიდი, მხურვალე მონაწილეობა. ევროპის ბძოლის ველზე თავი ისახელა სუვოროვმა, ხოლო აქეთ, აზის ველზე უდიადესმა სარდალმა-მეფემ, სახელლოვანი ნალიქშავს გაზიდიმა ირაკლი 2, რომლის შესახებ პარიზის პრესამ ქვეყნიერებას ხმა მოსდევა, რომ ირაკლი მეფე სტამბოლს იღებსო. ამ გარემოებამ და სომხების ინტრიგებმა, რომელსაც ისინი ირაკლის წინააღმდეგ ეწეოდენ პეტერბურგსა და ფფილისში, სრულიათ გაანელა ეკატერინე 2 და ერეკლე მეფის შირის გულითადი ურთი-ერთობა*) და ამ მმა უფსკრულის კარამდე კინაღამ მიიყვანა თვით რუსეთი.

ეს მეორე ომი ისმილეთთან აესტრიელების დახმარებითაც ქონდა რუსეთს დაწყებული მდინარე ლუნაიზე სუვოროვმა იიღო შესანიშნავი ცაჟ იზმაილი, რამაც დიდი სახელი გაუთ ქვე მას მთელ ევროპაში. დასრულდა ეს ომიც, რუსეთმა ცოტაოდენი ისმალეთის მიწა-წყალიც მიიკრა, რომელიც მდებარეობს მდ. სამხრეთის ბუგსა და მდ. დნესტრს შორის და ციხე იჩიკვი.

ასე წოდებულ, დიდი ჩრდილოეთის ლაშქრობის შედეგ, ძლიერი პოლონეთის სახელმწიფო თანადათან დასუსტდა,

თავიათ არისტოკრატულ რესპუბლიკანურ სეიმებზე თავად-აზნაურობამ (პანებმა) ჩხუბი და აყალ-მაყალი არ მოიშალა და, აა, ამ გარემოებამ ბოლო მოუღო შეფის უფლებას და პოლონეთიც მოსპონ პოლიტიკურათ. პრესიის მეფე ფრიდრიხ II ყოველ საშვალებას ხმარიბდა, რომ პოლონეთის შვილებს ურთი-ერთ-

*) იხ. Матеріалы для Истории грузіи Буткова.

შორის ჩხუბი არ გამოლეოდათ, არ მოშლოდათ და დიდათაც ცდილობდა პოლონეთი გადაეკიდებია რუსეთისთვის...

მართლადაც, პოლონელებმა საშინლათ დაუწყეს შევიწროება და დევნა მართლმადი-დებლებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, რუსეთი გამოექმნავა. ამ ამბავს 1773 წელს მოყვა პოლონეთის პირველი განაწილება პარუსია-სა, ასტრახანისა და რუსეთს შორის. 20 წლის შემდეგ, კიდევ ხელმორეთ გაინაწილეს პოლონეთი და რუსეთმა ვარშავაში დასაბანაკებლათ გაგზავნა თვისი ჯარები.

თვითონ ვნების კვირეში, დიდხუთშაფათ დღეს, ვარშავაში პოლონელები თავს დაესხენ რუსებს და ბევრს იმზოგანს ყელები გამოსკრეს, გაბორიოტებული პოლონელები რუსებს პირდაპირ შეუვარდენ ტაბარში და ბევრი რუსი შიგ ტაბარში დაყლეს, როცა სალდათები ზიარობდენ. პოლონეთის სხა ადგილებშიაც მოხთა აჯანყება და პოლონელების წინააღმდეგ პეტერბურგიდან იმწამსვე გაგზავნილ იქნა სუვოროვი, რომელმაც აილო ვარშავა. ამბოხების მეთაური პოლონელები საზღვარ გარეთ გაიჭ. ცენ. თან გაიტაცეს ხაზინა და სუვოროვს კი ვარშავაში შეცხოვებლებმა პურ მარილი მიართვეს...

ვარშავის აღებამ აღძრა და აშალა პრიუსია და ესტრია და იმათი ჯარები ოქარა-თქურით შევიდენ პოლონეთის არე-მარეში. პოლონეთის უკანასკნელი მეფე, უბედური სტანისლავ პონიატოვსკი, იძულებული შეიქნა მიეტოვებინა, გაულოდა მაშულს და პეტერბურგს გადასახლებულიყო. 1795 წელს მოხთა მესამე და უკანასკნელი განაწილება პოლონეთისა და რუსეთს ერთო ყველაზე უდიადესი, ასე წოდებული, ლომის ნაწილი სწორეთ...

პოლონეთის პირველი განაწილების დროს, 1773 წელს, რუსეთმა მიიკრა პოლონეთის მიწა-წყალი ბელორუსია; მეორე განაწილების დროს-კი ჩორნია რუსი, პოლესიე, ვოლინი და პოდლია; 1795 წელს, მესამე განაწილების დროს-კი, რუსეთმა მიიკრა ლიტვა და კურლი-ანდია.

მას აქეთია სახელმწიფოთა პოლიტიკური ქარტიდან სრულიათ მოიშალა პოლონეთი, რომელმაც არა ერთხელ დაიცვა თვისი გმირული გულ-მკერდით მონგოლთა და თურქ-ოსმალთა განადგურებისგან ევროპის ხმელეთის კაცობრიობა...

აქ მინდა ჩემი სტატიის საგანს ცოტა გადავუხვიო, ან უკავი რომა ვთქვა, უფრო შევავსო იგი, რომ მკითხველს მოკლეთ მაინც გაუუფალისწნო სურათი იმისა, თუ როგორ შეხვდენ თვისი მამულის პოლიტიკურათ დაღუპვას პოლონეთის გამწარებული შეილნი.

ამერიდან პოლონეთის მამული შეიღების ბუდე შეიქნა საფრანგეთი, რომელმაც ამ დროს სწორეთ თავისუფლების დიდი დროშა აფრიკალა და გულ გახეთქილ პოლონელებსაც გულში იმედი ჩაესახათ, რომ თავის დაღუპულ მამულს პოლიტიკური თავისუფლების სხივებით გააბრშინებდენ. ბევრი, ძალიან დიდი სხვერპლი შეიწირა ამ დიდმა საგანმა. ვერც ნაპოლეონ ბონაპარტემ, რომელიც 600000 უძლეველი მეომრით შეიქრა 1812 წელს რუსეთში და მესამეზე მეტს ამ არმიისას სულ პოლონეთის გმირი შეილები შეადგინდენ, ვერაფერი გაარიგა პოლონელებისთვის, რომელთა შემწეობით და გმირიბით დაიმორჩილა ამ გენიოსმა მეომარმა მთელი ევროპა. იტალიის და ამერიკის თავისუფლებისთვის მებრძოლნი, გამხნევებულნი და დიდათ აფრთხოებულნი პოლონელთა თავისუფლებისთვის ბრძოლამ ძალიან დიდი სახელი გაუგდო პოლონელებს მთელს ქვეყნიერებაზე.

1830-იან წლებში პოლონეთი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყდა. მარა იგი საშინლათ დამარტინი. ვინ მოთვლის აქ იმას, თუ რაოდენი ვაშკაცი დასაჯეს სიკვდილით, რაოდენი სოფელი და ქალაქი სულ ერთიანი აყარებს და რუსეთის არე-მარეში გაფანტებს. რამდენს ცოლ-შეიძლი აუწიოკეს, აუტირეს, ქონგბა და მიწა-წყალი ჩამოართვეს და რუსებს მუქთათ აჩუქეს. მთელი რუსეთის ციხეები და ცივი ციმბირიც პოლონელებით აიქსო.

1846 წელსაც აჯანყდა პოლონეთი. პრუსიამ, ავსტრიუგრეთმა და რუსეთმა შეერთებულის სამხედრო ძალებით ჩააქვრეს ეს ამბოხებაც.

1848 წელს, როცა ევროპის ხმელეთზე იხეთქა პროლეტარიატის ორევოლუციამ, პოლონეთის დიალი, საქვეყნო სახელგანთქმულმცოსანი მამულიშვილი—ადამ ბერნარ მიცკეჩი (1), დიდი ომისთვის ლეგიონებს აწყობს და რაზმაც. ყველა დარჩეულებული იყო, რომ პროლეტარიატი გამარჯვებდა და პოლონეთის უბედურებასაც ბოლო მოეღებოდა. მარა ეს ასე არ მოხდა. რეაქციამ გაიმარჯვა და პოლონეთიც ვერ გათავისუფლდა, რასაკვირველია...

1863 წელს, იანვრის თვეში პოლონეთი კიდევ აჯანყდა. ამ აჯანყების უროს იყო ისეთი მომენტები, რომ პოლონეთის, მიუცილებლათ, გამარჯვება მოელოდა... მთელი ორი წლის განმავლობაში ლომიცით ებრძოდენ მტერს მამულისთვის დიდათ თავგანწირული გმირები. მარა რუსეთის არმიამ მურავიოვის მეთაურობით საშინელი დღე დააყენა გაუბედურებულ ქვეყანას. ურიცხვი ადამიანი სიკვდილით დაისჯა. ას ორმოცდა ათი ათასი სული რუსეთის და ციბირის ციხეებში გაწყდა; ოცდა ათი ათასი მამულიშვილი საუკუნოთ დაიღუპა მამულის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში. როგორც ხელვთ, ამ ერთი საუკუნის განმავლობაში პოლონეთმა სამჯერ გაიარა გამოუთქმელი, დიადი განსაცდელი. მარა იგი ვერ ელორსა თავისუფალი ენახა მამული თვისი...

ორმოცდა ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პოლონეთი ცხოვრობს... დაწყარ-რებულათ. იგი წმინდა საარაკო თავდადებულის შრომით, გასაციფრებელი ენერგიით ჟურგა გახორციელებას საფრანგეთის საზოგადო დიდი მოღვაწის ისტორიული სიტყვისა: “გამდიდრდი-თო”, რომ უთხრა მან გულგატებილ პოლონელებს.

(1) ადამ მიცკეჩის სალკე სტატია მექნება ამ შურალშივე დასტამბული.

დიდათ დამზფიქრებილია და წმინდათ გასა-შტერებელიც ის ჩემი, დამშვიდებული, დიდათ დიდი და მწყობრი, საქვეყნო მუშაობის ისტო-რია, რომელმაც მიანიჭა დღეინდელ პოლონეთს სულიერი და ნივთიერი შემოქმედებითი ძალა დადიდი, უმდიდრესი გაძლიერება და აყვავება... დღეს ყველამ იცის, პოლონეთი ისეთი ძლიე-რია, რომ ამის მსგავსი იგი არას დროს არ ყოფილა ისტორიაში თავის უბედნიერებს წუ-თებშიც კი...

მას აქეთ, რაც პოლონეთი გაუბედურდა პოლიტიკურათ, იგი ყოველთვის, „დღემუდამ უამსა ყოველსა“ თვისი ქვეყნის პოლიტიკურათ გათავისუფლების საქმეს უკავშირებდა ევროპა-ში მომხდარ დიდ რევოლუციებს. ახლაც, როცა ავტოდა ასეთი დიდი ქარიშხალი, რო-მელსაც შესაძლებელია მოყვეს პოლონეთის გა-თავისუფლება, იგი რა თქმა უნდა ვერ დაიკრებს გულზე ხელებს. იგი მზათ არის ეს ერთი უდიდესი საგანი თვისი ქვეყნის სასარგებლოთ გადაწყვეტილი...

ამ საგანზე ახლა პოლიტიკურ არგანოებ-ში ბერი იწერება და, ამიტომაც, შევაჩერე იმაზე ჩემი მკითხველის ყურადღება. ახლა მოუ-გრუნდები პირდაპირ ჩემი სტატიის საგანს.

გულჭეთილი.

გვიგნობროგის თანამ-გზავრი

(„გავთავის მეცნიერება“—ი. ვ. ვოლფიცა)
(წერილი მეორე*)

მკითხველმა რომ უფრო ცხადათ წარ-მოიდგინოს რუსეთის ქალაქების გონიერებივი მოძრაობის ძალა, მისი საგანმანათლებელო სი-ავ-კარგე, მოციუნა აქ საინტერესო სტატი-სტიკურ ციფრებს ვოლფსონის გამოცემის 1 ვანკოფილებიდან. ეს ციფრები გვეუბნებიან, რომ რუსეთის 209 ქალაქში 1911 წელს გა-მოდიოდა 1817 პერიოდული გამოცემა, ხო-ლო 1919 წ. კი 246 ქალაქში—2167 იყო. აქედან მარტო რუსულ ენაზე გამოდიოდა

*) იხ. „განთადის № 2)

1585 ანუ 73,1%, ხოლო სხვა ენაზე და-
ნარჩენ 33 ენაზე.

რუსულს მიყობა პოლონურ ენების გა-
მოცემები 1911 წ.—197, ხოლო 1912 წ.
—234. მესამე ალაგი უჭირავს რუსეთის პრე-
სის საქმეში გერმანულს—69 გამოცემა ქმნ-
დათ 1912 წ. მეოთხეთ მიყვება ლატიშური
ენა 41 გამოცემით 1911 წ. ხოლო 1912 წ.
კი 47. მეხუთეთ ესტონური 1911 წ.—35
და 1912 წელს კი—43.

ებრაელთა მწერლობა მეექცე ალაგის
შემნება ამ კულტურულ დარღვევი. მით 1911
წ. ქონდათ 24 გამოცემა, ხოლო 1912 წ.
კი 31-

ამათ მიუცვებით მეშვიდეთ ჩვენ—ქართვე-
ლები ჩვენი 25 პერიოდული გამოცემებით,
ხოლ 2 ჩვენი თანამგზავრები რუსეთის ცხოვ-
რებაში არიან თავის კულტურით ქონდენ
თავმომწონე სომხები 21 პერიოდულ გამოცე
მებით რუსეთის საზღვრებში.

შემდეგ მიყვება მეცხრეთ ლიტოველები
—20 გამოცემა, მე—10 თ. უკრაინელები,
მე—11—თ—თათრები—12 გამოცემით და
ასე ამრიგათ სხვა წრივილმანი ერები რუსეთის
ამოდენა იმპერიისა.

რუსულ და სხვა ენაზე გამომავალ პერიო-
დულ გამოცემებით პირველი ალაგი ისევ
პეტროვგრადს უჭირავს, სადაც 1911 წ.
გამოდიოდა 472 გამოცემა, ე. ი. 24 50%,
ხოლო 1912 წ. იგი გაიზარდა 531-ად. შემ-
დეგ მოსკოვში გამოდიოდა 1911 წ. 204
ხოლო 1912 წ. 208 გამოცემა. 3. ვარშავა-
ში 1911 წ. -167 და 1912 წ. კი-204 გამო-
ცემა იყო 4 კივეში 1911 წ. 56 და 1912 წ.
—69. მე 5-ე რიგაში—59 და 1912 წ.—54
ალარ უმატნია. 6, ოდესაში 46, ხოლო
1912 წ.—58.

შემდეგ მე-7-დე ალაგი ეჭირა კავკასიაში
თფილის, სადაც 1911 წ. გამოდიოდა 41
გამოცემა ყველა აქ არსებულ ენაზე, ხოლო
1912 წ. კი 44—მე-8-ე ალაგი უჭირავს ვოლ-
ფსონის ცხრილით ბაქოს, სადაც გამოდიოდა

1911 წ. 14 გამოცემა, ხოლო 1912 წელს
კი 17.

საანგარიშო 2—3 წლის განმავლობაში
იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისში კავკასიის სხვა
სამრეწველო ქალაქებს თუ ვერ გაასწრო, დი-
დათ არაფრით ჩამორჩენია გამომცემლობის
საქმეში. ხოლო რაც შეეხება პერიოდულ გა-
მოცემების და წიგნების გავრცელებას, —ამ
მხრით იმერეთში თავის ქუთაისით არა თუ დი-
დრონ ქალაქებს, საქართველოს ყველა დანარ-
ჩენ კუთხებს გაასწრო, მისი მკიოდრი ერთი
ორათ მეტ გონიეროვ ნაწარმოებს ნოჟამს, ასა-
დებს.

კოლფსონის სტატისტიკით 1911 წ. ქუ-
თაისში მხოლოდ ორი გამოცემა ჭაბუნძიდა:
ერთი ქართული და მეორეც რუსული, დღეს
კი აქ... ქართული და ერთი რუსული ოფი-
ციალური გამოცემა გამოდას. რუსულ პერი-
ოდულ გამოცემას აქ ფეხი ვერ მოუკიდა მი-
უხედავათ უცხოელ გარეშეთა მიერ მრავალ
გზის ცდისა. ამგვარა გაზეომა არა თუ ომაზ-
დი ვერ მოინახა აქ ნიადაგი არსებობას, მაგ.
ბ. პოლშინის „კუტაისკაია უიზნმა“ და
„კუტ-ლისტროკმა“, დღესაც, პერიოდულ
გამოცემათათვეს ოქროს ხანაში ომიანობის
დროს ქუთაისში რუსულ გაზეომის გამოცემა-
ოცნება გამოდგა, მაგ. გაზეთი „Pionier“ ის
გამომცემლის ვინგე უცნობ მიხაილოვის ქალი-
სა, რომელმაც მეთერთმეტე №-ზე მოწყვიტა
კული ამ უდღეულ, უშინაარსო ფურცელს და
ადრიანათ გულგატებილმა მოსკოვს მიაშურა
სევ სწავლა-ცოდნის შესაძნათ.

ისო.

(შემდეგი იქნება.)

გენიუნება.

„განთიადის“ პირველ ნუმერში არის დაბე-
კდილი მემუარი ცნობილი რუსის პროფეს-
სორის მეუღლისა ჩერნიშევსკის დასჯაზე.
ეს მემუარი სიმართლეს მოკლებულია, ორ
ფაკტს გარდა: ერთი, რომ ჩერნიშევსკი გამო-
იყვანეს ცხენების მოედანზეო და, მეორე, იმას

ჰაშინ კრაველის ქუდი ეხურაო. შეცდომაა ცემდევი პუნკტები, თუ წვრილმანებს გვერდს აულიოთ.

1) ჩერნიშევსკი გაასამართლეს და დასჯეს 1870 წლების მიწურულში კი არა, 1860 წლებით პირველ წლებში.

2) იმას პროვინციაში აკრიუს პროპაგანდას კი არ აძრალებდენ, მთავრობის წინა-აღმდეგ, გლეხების ცუდათ გათავისუფლებაზე; აზრალებდენ, საზოგადოთ, პუბლიკისტიკაში ბორბოტს და მავნე მიმართულების (ვრძიოს, ან-თიკის და ასაკის და ასაკის გათავისუფლების შესახებ მისი ნაწერებიც).

3) ის გაასამართლეს სენატში და არა ცხენების მოედანზე, თუ ეს ირონიულათ არა აქვს ნათქვამი მას, ცხენების მოედანზე იმას მთავროთ გამოუტადეს სენატის განაჩენი, ხელმწიფისგან უკვე დამტკიცებული 1).

მოყდანზე, არც მოსამართლები, არც პრო, აუტორი არ ყოფილა და ვერც იქნებოდენ, რადგან იმ დროს კარ ღია სამსაჯულო არ ყოფილი შემოღებული. ბრალმდებელი თქმი, ე. ი. ინვინიტენსიუმის აქტი, კი არა, სენატის განჩინება. წაუკითხა მისმა ობერ სეკრეტარმა. და არა პროკურორმა.

4) ის იაკუტსკში კი არ გაუგზავნიათ დასასახლებლით, გაგზავნენ ნერჩინსკის კარტოგრამი 7 წლით. სენატმა გადაუწყვიტა 12 წლის კატორგა, მარა 5 წელიწადი ხელმწიფებრივ მოუკლო. ის კატორგის შემდეგ, დასახლეს ციმბირში, მარა იაკუტსკში კი არა, უფრო ახლოს სადღაც.

ცველას ეგონა, რომ ხელმწიფე, ან სულ ანატოლებდა სასჯელს, ანდა მცირეს რასმე და-აჯრებდა, რადგან მისი ნაწერები ცენზურის ცხრილში იყო გატარებული ; იმას რაღა მცირელი სული უნდა შერჩენოდა, ანდა რა მისი ბრალი უნდა ყოფილიყო მათთაღაც, ამბობდენ ხელიწიფეს უნ-

დოდაო მისი ხსნა სასჯელისგან; მარა იუსტიციის მინისტრმა გრაფ პანინმა, ჯანდარმების შეფა გრაფ შუვალოვმა და გენერალ გუბერნატორმა იგნატიევმა არ დაანებეს.

ეს ყველა ვიცი შეუცდომელათ, რადგან მაშინ უნივერსიტეტში ვიყავი, ცხენების მოედანზედაც დავეწარი. ამ საქმეს ყველა გაფარიცებით თვალ - ყურს აღევნებდა. არ ვიცი, მართლა გაატანა ჩერნიშევსკის წიგნებით სავსე ზანდუკი ახალმა გენერალ გუბერნატორმა კნ. სუვოროვმა, მარა ესეც საეჭვოთ მიმჩნია, რადგან კატორგაში ამსთანა ლოგოტებს კანონით არავის ძლიერება და მაშინ კიდე უფრო სასტიკი რეებით იყო; შეიძლება, ეს მოხდა, რადგან ადმინისტრაცია უფლათ შემძლებელი იყო. მართლა თვით, ამ სუვოროვმას სულ სხვებ დაატრიალა მაშინ ორის, თუ სიმის დღის განმავლობაში დახული უნივერსიტეტის და იქიდან გამორიცხული სტუდენტების საქმე, რაზედაც ლოგოვ განსცენებულმა ხელმწიფე ალექსანდრე 11. გულმოღვინეთ ხელი შეუწყო; სუვოროვმა არ მიიღო გენერალ - გუბერნატორის ადგილა; იგნატოვის მაგიერ, დაინიშნა ვინმე, სტუდენტების მტერი და მოსისხარი, იუსტიციის მინისტრი გრაფი პანინი; ენდარმების შეფა გრაფი შუვალოვი და კეთილი, მდრა ჩერჩეტი განათლების მინისტრი გრაფი პუტიატინი არ გადააუგნეს სამსახურიდან და საგანგებო კომისია არ გახსნეს კურს გასათავებელი სტუდენტების ექსამენის დასაჭრათ და დანარჩენ სტუდენტებს ფული დაურიგეს ხაზინიდან სხვა და სხვა უნივერსიტეტებში წასავლელათ ან დაშინ დასაბრუნებლით. ვისაც, როგორა სურდა. ადვილი წარმოსადგენია, რა გუნდებაზე დააყნა ამნ 2800 სტუდენტი, საკუნოთ უნივერსიტეტიდან გამორიცხილი. და უმეტესობით ყოველ ხაშუალებას მოკლებული, რომელთაც უკავე გამოცხადებული ქონდათ შეა იანვარში, 30 გრადუსიან ყინვის დროს, ომშ ვინც 48 საათის განმავლობაში თავის სახლში არ წავა პეტერბურგიდან, ეტაპით გაიგზავნებათ.

ლავით ბაქრაძე.

1) ამას წერდა შემუარების ავტორიც.

წერალი სამეგრელოდან.

„ბელი იური კაცი გადურება ასეთ წელი წალს“, ხშირათ გაიგონებო წელს სამეგრელოს სოფლების გლეხეაც მიღიან. და მართლაც, ვინც დაივლის ზუგდიდის და სენაკის მაზრებს, დარწმუნდება, რომ ეს მწარე სატყვები როდი არ გადაჭარბებული. ხალხის კეთილდღეობის ორი დაუძინებილი მტერი — ომი და სიმშილი ერთათ ეწვევნენ სამეგრელოს ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხ-კულბას და აღვილი წარმო-საღვენია, თუ რას უქადინა... „არსაილან ხსნა, არსით ძხილია!..“ ამ უნუგე-შო მცირებარებას ის აორკეცებს რომ საერ-თო უბედურობის დროს საგრძნობელი დახმა-რება ძევლი მოსალოდნელია.

აუცილებელი სიმშილის ნიშნები უკვე მასში გამოიჩინა, როდესაც გადაულებელმა წევიმებმა, ან სრულათ დააპარ დათხსილი სი-მიდა ან და ამოსულს, ნაყოფის გამოტანაც არ აცალა, — ისე დააჭინო, მაისიდან ენკენის-თვემდი რამდენჯერმე მოხთა საშინელი წყალ-დიდობა. ნაპირებიდან გადასულმა წყალმა თით-ქმის სრულიათ გაანადგურა ისედაც მცირე ჭირ-ნანული. (გამრავლდა ტბები, რამაც გამოიწვია ციებ-ცხელება და ბევრი სნეულება.) ჭალა-დიდის მხარეზე (საუკეთესო მიწებია მოსავა-ლის მხრივ მთელს სამეგრელოში), მემატულე წინა წლებში თუ 2—3 ათას ფუთ სიმიდს ყიდდა, დღეს ერთ ფუთსაც ვერ გაყიდის, რა-დგან საზრდოზე მეტი ძეირათ, თუ ვინმეს მოს-ვლია. სხვის მიწაზე მომუშავე გლეხი საზრდოს გარდა, 300 ფუთამდე სიმიდს ყიდიდა. დღეს კი, სრულ ქვეშარიტებას მოგახსენებთ, საყ-ფაც არავის მოუწევია. ოთხი წლით დაშორე-ბის შემდეგ, რამდენიმე თვე შემნვდა ამ სოფ-ლებში ყიფნა და ვერა ვიცინი, გამოცვლი-ლა აქაური გლეხი. მეგრელი გლეხი — მიწის მუშა და მის მოიმედე დღეს პირველათ გავი-გონე, რომ წყევლის ამ შავ, ნოყიერ მიწას! — ახრათ იქცეს... წყეული ვიყო და ცოლშილი გმიშულება ამ დასაცევების ხენა — თევსას, თუ დაუგუბრუნდეთ.

და მიდიან... თქვენ გიამბოთ ერთი გა-

ზეთის კორესპონდენტმა, თუ რა გაჭივრება ხვდებათ მათ ქალაქებში. უმუშევრებით საცხეა ბათომით ვერთხულობით გაზეთში, შრომის ხელ ფასი დასცეს და ბევრ მუშას ქუჩებზე ძი-ნავთო.

ვინც ზაფხული და შემოდგომა დაყო სა-მეგრელის სოფლებში, ის, უთუოთ, შეამჩნევდა არაჩვეულებრივ მოწყენას. ვერ გაიგონებდა მხიარულ, უდარდელ სიმღერას, ვერ ნახდა მოლენას. თუ სიმღერას სადმე ყურს მოყრავლით ეს იქნებოდა მწუხარე, ნალექიანი კილო, რომელიც ისედაც ახასიათებს მეგრულ სიმ-ღერებს.

დღეს ხშირათ გაიგონებთ — ჩქიმი ცოდა, მე ვემინა! სიმღერას თუ ვერა, ტირილსა და მოთქმას ბევრს გაიგონებთ. ამ მოლო დროს მაინც ბევრ აჯახებში გაისმის ზარი და ვაი ვუ...“

სოფელში მუშა ხელის საშინელი სიძვი-რეა. ფული არ იშვება, საქონელი — პირუ-ტყვი კი შეტათ გაიაფდა. გაჭივრებული გლე-ხი ექვს თუმნიან ძროხას 25 მანათათ ყიდის და გასაც მყიდველი არა ყაეს.

გაურცელდა ყაჩალობა და თავდასხმა, ორი-ოდე გროშს თავს წირავენ ზოგიერთი უბე-დურები. ამ რამდენიმე თვის წინ, ზუგდი-დის მაზრაში 2 თავზე ხელაღებული ყაჩალი სიცოცხლეს გამოსალმა ადგილობრივმა პო-ლოციამ და ხუთიც დაიჭირა.

ამ საერთო უჯუმართობას მიუმატეთ მა-ტყუარა მკითხავები, რომელთა რიცხვი თან-დიან მატულობს ჩვენს სოფლებში. უბედუ-ბების მომლობინე გლეხ კაცია იშვიათის სურვილით ეტანება ამ მკითხავებს და უკანას კნელ გროშს არ იშურავენ, ოღონ გაიგონ — დაბრუნდება, თუ არა მათი: უტუ, ნოე, დუ-ხენა. ახალი წელი მოვიდა, მარა ვინ ასეთ მოსვლას! სიმშილი და მწუხარება მოაქვს — სხვა რა უნდა მოიტანოს.

N

რედაქტორ-გამომცემელი ს. გველოძე.

სტამბა „მმობა“ ქარვასლის ქუჩა, ჩარექვენის სახლი.

საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო გაზეთი

წელიწადი
მეორე.

შრომა

წელიწადი
მეორე.

1915 წლის პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ დღე.

წლიური ხელის მომწერლები პრემიათ მიიღებენ ბიუტორ ჩერნოვის წიგნს ფილოსოფიური სოციოლოგიური ეტიუდები. (ქართულ ენაზე 300 გვ.) არა ხელის მომწერლებისთვის წიგნი ეღირება 2 მან. ფულის გადახდა წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ: ხელის მოწერისას 3 მან. 1 აპრილს 2 მან. 1 ოქტომბერის 2 მან.

გაზეთი ღირს: 1 წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან.—40 კ. ერთი თვით 80 კ. გისამართი: ქუთაისი. „შრომის“ რედაქცია სახ. მკურნალი მ. ლორთქითანიძისა. ფოსტით: კუასტ, გაზ. „შრომა“ იუ. № 47.

ჯეჯილი

საზოგადო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეექვსე წელიწადი.

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წელს.



გამოვა 1915 წ. ოვენი ერთხელ, უურნალში ორი განყოფილებაა; პატარებისთვის და მოზრდილთათვის. უურნალი „ჯეჯილი“ თვილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზანით) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნუმერი 40 კაბ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—„ჯეჯილის“ რედაქციაში, (არტილერიის ქუჩა, № 5)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ. въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджил“.

რედ.—გამომცემელი ან. თუშანიშვილი წერეთლისა.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისთვის უოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

სახალხო ფურცელ-ზე

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ. გამოდიოდა.

გაზეთის ფასი: წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურათ, დამატებით 7 კაბ.,

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	9. 75	6.	5. 25	4. 50	3. 75	3.	2. 26	1. 50	75.

საზოგად-გარედ თვეში ზედ-ზეთი 50 კ.

ადრესის გამო-
საცდელი ფასი ტფილისის ტფილისის გარედ, ან ტფილისის
გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე

40 კ.

=====დანარჩენ შემთხვევაში უფასოა=====

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კ. შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილობით.
მხოლოდ შემდეგ ვაღებზე უნდა იყოს გადადილი: ხელის მოწერისათანავე 3 მან.

1 აპრილამდე 2 მან. 1 თბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 გ. 50 კ. 1 ეკენისთვემდე
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის რიცხვიდნ.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქუჩა,,
სარაჯიშვილის სახლი, (შესავალი ეზოდან) 2) ქ. შ. ჭ. კითხ. გ. საზ. მთავარ გამგეობის
წიგნის მაღაზიაში. 3) ფოსტით: თიფლის, გაზ. „Сахалх Шурцели“, ჯშ. 190.